

ქალაქ ქუთაისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების კონკურენტუნარიანობის შეფასება

კვლევის ანგარიში



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Research

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან კვლევის ავტორები და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

I კვლევის შესახებ	3
1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები	3
1.2. კვლევის მეთოდოლოგია - ძირითადი სექტორების გამოვლენა	3
II. კონკურენტული უპირატესობების ანალიზი	8
2.1. ნორმატიული და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი	8
2.2. არსებული კონკურენტული სექტორების გამოვლენა.....	14
2.2.1. განთავსების კოეფიციენტი (LQ) იმერეთში	14
2.2.2. ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი იმერეთში.....	17
2.2.3. ჯამური ქულების გაანგარიშება	20
2.3. პოტენციური/პერსპექტიული სექტორების გამოვლენა	22
III. კონკურენტული დარგების/სექტორების ანალიზი	26
3.1. სასტუმროები და რესტორნები.....	26
3.2. ვაჭრობა	39
3.3. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	47
3.4. ტურიზმი	58
3.5. განათლება	70
IV. დასკვნა და ძირითადი რეკომენდაციები.....	80
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:.....	83
დანართი1.	85

I კვლევის შესახებ

1.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ქალაქ ქუთაისის და მისი მიმდებარე ტერიტორიის (არეალის) კონკურენტული უპირატესობების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება მათი განვითარების მიზნით;

კვლევის ამოცანებია ქალაქ ქუთაისის და მისი მიმდებარე ტერიტორიის (არეალის):

- განვითარების არსებული პოტენციალის და სამომავლო პერსპექტივების შეფასება რეგიონულ ჭრილში;
- ძირითადი/კონკურენტული სექტორებისა და ქვესექტორების გამოვლენა;
- გამოვლენილი სექტორებისა და ქვესექტორებისათვის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერა და კონკურენტულ უპირატესობათა ანალიზი;
- რეკომენდაციების შემუშავება კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის;
- რეკომენდაციების ადვოკატირების გეგმის ჩამოყალიბება.

1.2. კვლევის მეთოდოლოგია - ძირითადი სექტორების გამოვლენა

კვლევის ობიექტია ქალაქი ქუთაისი და მისი მიმდებარე ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ ქალაქი ქუთაისი, თავისი ისტორიული და ეკონომიკური ფაქტორებით და მის გარშემო არსებული მუნიციპალიტეტები, რომლებიც ფუნქციურად არიან დაკავშირებული ქ. ქუთაისთან და ერთობლიობაში ქმნიან ფუნქციონალურ რეგიონს, რომლის საზღვრები შეიძლება განსხვავებული იყოს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრებისაგან.

კვლევის საგანს წარმოადგენს, ზემოთ აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში ეკონომიკის ტრადიციული და პერსპექტიული სექტორებისა და ქვესექტორების¹ შესწავლა, „კონკურენტული უპირატესობის“ გამოვლენის მიზნით. „კონკურენტული უპირატესობის“ ქვეშ იგულისხმება ეკონომიკის დარგი, მიმართულება, რომელიც არსებობს ან /და პერსპექტიულია რეგიონისათვის.

¹ ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორი NACE rev 1.1-ის მიხედვით სექტორს შეესაბამება სექცია (გვ. 25), ხოლო ქვესექტორს-განყოფილება (გვ. 25).

კვლევა და შესაბამისად, კვლევის მეთოდოლოგია პირობითად შეიძლება გავყოთ ორ ნაწილად. პირველი ნაწილის ამოცანა არის ქალაქ ქუთაისის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ძირითადი/კონკურენტული/პერსპექტიული სექტორებისა და ქვესექტორების გამოვლენა. მეორე ნაწილისა კი გამოვლენილი სექტორებისა და ქვესექტორების კონკურენტული უპირატესობების სიღრმისეული შესწავლა რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

კვლევა ეფუძნება ევროკავშირის მიერ შემუშავებულ Smart Specialisation-ის სტრატეგიას, რომელიც სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახდენს რეგიონის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას. აღნიშნული კომპონენტებია:

1. ეკონომიკური პოტენციალი
2. ინოვაციური პოტენციალი
3. სამეცნიერო პოტენციალი

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, კვლევითმა ჯგუფმა მოახდინა ეკონომიკური პოტენციალის კომპონენტის შეფასება.

ეკონომიკური პოტენციალის ანალიზი მოიცავს შემდეგ ქვე-კომპონენტებს:

1. შიდა კონკურენტუნარიანობა (სპეციალიზაცია, ზრდის დინამიკა, მონათესავე ინდუსტრიული ქვესექტორების მნიშვნელოვნება), რომელიც იზომება დასაქმებით, დარგში შექმნილი დამატებული ღირებულებითა და კომპანიების რაოდენობის მიხედვით;
2. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, რომელიც იზომება ძირითადი საექსპორტო პროდუქტების ჯგუფისა და გამოვლენილი საექსპორტო პოტენციალის მიხედვით.

გამომდინარე იქიდან, რომ არ მოიპოვება მონაცემები რეგიონების მიხედვით ექსპორტის შესახებ, ამასთანავე, არ ხდება მომსახურების ექსპორტის აღრიცხვა, რაც მომსახურების სფეროს არათანაბარ პირობებში აყენებს წარმოების სფეროსთან, კვლევა დაეფუძნა მხოლოდ შიდა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრას და კვლევის ფარგლებში განხილული იქნება შემდეგი მონაცემები:

1. დარგში დასაქმებულთა დონე
2. დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება
3. დარგში არსებული კომპანიების რაოდენობა

აღნიშნული ინდიკატორებით კონკურენტუნარიანობის შესწავლის მიზნით, ძირითად მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა რეგიონის ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი (Shift-Share Analysis) და დელფის მეთოდი, ხოლო რეგიონში სექტორის კონცენტრაციის განსაზღვრისასთვის - განთავსების კოეფიციენტი (Location Quotient, LQ), (იხილე „დანართი 1: განთავსების კოეფიციენტი“, „დანართი 2: რეგიონის ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი“), რომლებშიც

ძირითადი დაკვირვების ქვაკუთხედს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობების და დამატებული ღირებულების დინამიკაში ცვლილებები წარმოადგენს.

განთავსების კოეფიციენტი (Location Quotient, LQ) გვიჩვენებს, რომელი სექტორებია ძირითადი მამოძრავებელი ძალა ეკონომიკის ზრდისთვის აღნიშნულ რეგიონში. მეთოდი ზომავს, თუ რამდენად მაღალია სექტორის კონცენტრაციის დონე რეგიონში, მთლიან ქვეყანასთან შედარებით.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გამოვლინდა რეგიონისთვის ძირითადი და არაძირითადი ეკონომიკური სექტორები. ძირითადია სექტორი, რომლის წვლილი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანია, არაძირითადია, რომლის წვლილი უმნიშვნელოა.

LQ გამოითვლება რეგიონის მთლიან დასაქმებაში აღნიშნული სექტორის წილის შეფარდებით ქვეყნის მთლიან დასაქმებაში აღნიშნული სექტორის წილთან.

$$LQ = \frac{e_i}{e} / \frac{E_i}{E}$$

სადაც,

e_i – i სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონში

e - რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა

E_i – i სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში

E - ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა

თუ $LQ > 1$, i სექტორი წარმოადგენს ძირითად სექტორს რეგიონისთვის. თუ $LQ < 1$, i სექტორი წარმოადგენს არაძირითად სექტორს რეგიონისთვის. მაღალი LQ და დასაქმებულთა მაღალი რაოდენობა მანიშნებელია, რომ აღნიშნული სექტორი ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა რეგიონის ეკონომიკის ზრდისთვის. LQ-ს გამოვითვლით რეგიონში მოქმედი ყველა სექტორისთვის. მიღებული შედეგების საფუძველზე სექტორები დაიყოფა რეგიონისთვის ძირითად და არაძირითად სექტორებად.

რეგიონის ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი (Shift Share) წარმოადგენს რეგიონული ანალიზის ერთ-ერთ მეთოდს. მოცემული მეთოდი საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ კონკურენტუნარიანი სექტორები რეგიონისთვის. აღნიშნული ანალიზი დაგვეხმარება, გამოვარკვიოთ საკვლევ რეგიონში არსებულ ეკონომიკურ სექტორებში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილების განმაპირობებელი ფაქტორები.

Shift Share ანალიზი სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას (გარკვეულ პერიოდში) ხსნის სამი ეფექტით: ქვეყნის ზრდის ეფექტი (national growth effect-

NGE)), ინდუსტრიული ეფექტი (Industry mix effect (IME)) და კონკურენტუნარიანობის ეფექტი (Competitiveness effect (CE)).

$$e_i^{t+n} - e_i^t = e_i^t \left[\frac{E^{t+n}}{E^t} - 1 \right] + e_i^t \left[\frac{E_i^{t+n}}{E_i^t} - \frac{E^{t+n}}{E^t} \right] + e_i^t \left[\frac{e_i^{t+n}}{e_i^t} - \frac{E_i^{t+n}}{E_i^t} \right]$$

$$e_i^t \left[\frac{E^{t+n}}{E^t} - 1 \right] - \text{NGE}$$

$$e_i^t \left[\frac{E_i^{t+n}}{E_i^t} - \frac{E^{t+n}}{E^t} \right] - \text{IME}$$

$$e_i^t \left[\frac{e_i^{t+n}}{e_i^t} - \frac{E_i^{t+n}}{E_i^t} \right] - \text{CE}$$

e_i^{t+n} - დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონში i სექტორში t+n წელს

e_i^t - დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონში i სექტორში t წელს

E_i^{t+n} - დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში i სექტორში t+n წელს

E_i^t -დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში i სექტორში t წელს

E^{t+n} - დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში ყველა სექტორში ერთად t+n წელს

E^t -დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყანაში ყველა სექტორში ერთად t წელს

NGE გვიჩვენებს რამდენი სამუშაო ადგილის შექმნა აიხსნება რეგიონში მოცემულ i სექტორში ქვეყნის ეკონომიკის ზრდით (მაგ: თუ სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გამოთვლილი NGE=300, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის გამო რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორში 300 ადგილი შეიქმნა)

IME გვიჩვენებს რეგიონში მოცემულ i სექტორში რამდენი სამუშაო ადგილის შექმნა აიხსნება ქვეყანაში მოცემული i სექტორის ზრდის გამო. (მაგ: თუ სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გამოთვლილი IME=300, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდის გამო რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორში 300 ადგილი შეიქმნა)

CE გვიჩვენებს რეგიონში რამდენი სამუშაო ადგილის შექმნა აიხსნება მოცემულ i სექტორში რეგიონის კონკურენტუნარიანობით (ფაქტორი დამახასიათებელია მხოლოდ მოცემული რეგიონისთვის მოცემულ სექტორში). (მაგ: თუ სოფლის მეურნეობის სექტორისთვის გამოთვლილი CE=300, ნიშნავს, რომ რეგიონში სოფლის მეურნეობის სექტორში დამატებით 300 სამუშაო ადგილი შეიქმნა, რადგან სოფლის მეურნეობის სექტორი არის კონკურენტული დარგი მოცემული რეგიონისთვის).

NGE+IME არის აღნიშნულ i სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მოსალოდნელი ცვლილება, ხოლო CE გვიჩვენებს დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას რომელიც გამოწვეულია რეგიონის მოცემულ სექტორში კონკურენტუნარიანობით. სწორედ CE არის მთავარი მანიშნებელი, თუ რომელ სექტორშია რეგიონი კონკურენტუნარიანი.

Shift Share ანალიზი განხორციელდა რეგიონში მოქმედი ყველა სექტორისთვის და გამოვლინდა სექტორები, რომლებშიც მოცემულ რეგიონს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა.

LQ და Shift Share ანალიზისთვის საჭირო მონაცემები ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობების შესახებ, აღებული იქნა ეროვნული და სამიზნე რეგიონების სექტორების მიხედვით უკანასკნელი 7 წლისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზიდან (http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo).

დეღვის მეთოდი. ვინაიდან, სამიზნე გეოგრაფიული არეალის ძირითადი სექტორების გამოვლენისათვის გამოყენებული ზემოთ განხილული მეთოდები (LQ და Shift Share) ეყრდნობა ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, ისინი მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გამოავლინონ დარგები, რომელებიც ამჟამად არ არიან მოწინავენი რეგიონისათვის, თუმცა აქვთ განვითარების პერსპექტივა და უახლოეს მომავალში შეიძლება სწრაფად განვითარდნენ. სწორედ ამიტომ, მკვლევართა ჯგუფის მიერ დამატებით იქნა ჩატარებული კვლევა “დეღვის” მეთოდით, რომლის შედეგადაც გამოვლინდა ქუთაისისა და მისი შემოგარენისათვის პერსპექტიული დარგები. „დეღვის“ მეთოდი ითვალისწინებს ექსპერტთა მოსაზრებების რამდენიმე ეტაპიან კვლევას.

სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდი. გამოვლენილი ძირითადი სექტორებისა და ქვესექტორების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის მეთოდოლოგიის ფარგლებში გამოყენებული იქნა სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდი. რესპონდენტები იყვნენ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლენი, ცალკეული დარგობრივი ექსპერტები და პრაქტიკოსი სპეციალისტები. სულ გამოიკითხა 16 რესპონდენტი. ჩაღრმავებული ინტერვიუების მიზანი იყო, გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობების შესახებ დამატებითი ინფორმაციებისა და ცნობების შეგროვება, რაც საფუძვლად დაედო თითოეული კონკურენტული უპირატესობის ღირებულებათა ჯაჭვის აღწერას.

II. კონკურენტული უპირატესობების ანალიზი

2.1. ნორმატიული და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი

პროექტის ფარგლებში განხორციელოდა სამაგიდო კვლევა, რომლის მიზანს ქუთაისის და მისი მიმდებარე ტერიტორიების განვითარებასთან დაკავშირებული ნორმატიული და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი წარმოადგენდა. შედეგად გამოიკვეთა ძირითადი მიმართულებები, რომლებიც აღნიშნულ დოკუმენტებშია მოცემული და მათი ავტორების მოსაზრებით კონკურენტუნარიანია.

განხილულ იქნა ოთხი ძირითადი დოკუმენტი:

- საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021
- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020;
- იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021;
- ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“.

ასევე განხილულ იქნა სტატისტიკის დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშები; რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017-2020 წლის სამოქმედო გეგმა. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია.

საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც 2018-2021 წლების პერიოდში საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს განსაზღვრავს. ადგენს რა საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის.

პროგრამის მიხედვით, რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური გათანაბრების პოლიტიკის უახლეს მიდგომებს, რაც გულისხმობს განვითარების ინტეგრირებული და ტერიტორიაზე მორგებული სტრატეგიების ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას. პროგრამა უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს იმ საჯარო და კერძო ინვესტიციებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ რეგიონულ განვითარებას, აძლევს საშუალებას ყველა დაინტერესებულ მხარეს მოახდინოს რესურსების კონცენტრირება ერთიანი, საერთო სტრატეგიის მიხედვით, რათა მიღწეულ იქნეს ინტერვენციის მაქსიმალური ეფექტიანობა.

ქვემოთ ჩამოთვლილია პროგრამის პრიორიტეტები, რომლებიც მოიცავენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და ინსტრუმენტებს:

1. ქვეყნის და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (მოიცავს 9 ღონისძიებასა და ინსტრუმენტს);
2. მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორებისა და ექსპორტის ხელშეწყობის მხარდაჭერა (მოიცავს 6 ღონისძიებასა და ინსტრუმენტს);
3. ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება (მოიცავს 7 ღონისძიებასა და ინსტრუმენტს);
4. ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე (მოიცავს 6 ღონისძიებასა და ინსტრუმენტს);
5. რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდა და საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამების მომზადება (მოიცავს 4 ღონისძიებასა და ინსტრუმენტს).

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020 - ის შესავალში მოცემულია საქართველოს მთავრობის ხედვა: საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპებით. საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც, პირველ რიგში, დასახული კეთილდღეობის მიღწევას აფერხებს. ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა:

- კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა,
- არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი,
- ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა დიდწილად და მოკიდებული არა მარტო საერთო ეროვნული, არამედ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ძლიერ და კონკურენტუნარიან რეგიონებზე. რეგიონული განვითარება განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მოდელი შემდეგ ძირითად კონცეფციებს ეფუძნება:

- კერძო სექტორით განპირობებული ზრდა;
- ეფექტიანი მთავრობა;
- თანაბარი შესაძლებლობები ბიზნესისთვის;
- ზრდის ხელშეწყობის სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა;
- თავისუფალი კონკურენცია;
- ვაჭრობისადმი გახსნილობა.

აღნიშნული სტრატეგია მაკროეკონომიკური პარამეტრების გამოყენებით ადგენს მომდევნო წლებში მისაღწევ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, აღწერს დასახული მიზნის მიღწევის გლობალურ მიდგომებს, თუმცა რეგიონალურ ჭრილში ეკონომიკის დარგების მიხედვით კონკურენტუნარიანობის საკითხს ნაკლებად მოიცავს.

განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შემდეგ ეკონომიკურ სფეროებზე

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა
- ჯანდაცვა
- სოფლის მეურნეობა
- განათლება

იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021-ში აღწერილია რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მიზნები, ამოცანები და რეგიონის განვითარების ხედვა. მისი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობა, ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა და მოსახლეობის ჩართულობა.

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას სტრატეგიის შემუშავების პროცესში კონსულტაციებს უწევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP).

სტრატეგიით განისაზღვრა იმერეთის რეგიონის განვითარების ხედვა, პრიორიტეტული მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

განვითარების ხედვა 2021 წლისათვის - რეგიონი იქნება ადგილი:

- სადაც უკეთესი პირობებია შექმნილი მათთვის ვინც ცხოვრობს, მუშაობს, სწავლობს, ეწევა ბიზნესს ან სტუმრად იმყოფება იმერეთის რეგიონში; არსებობს ცვლილებებისადმი ადაპტირებული მრავალფეროვანი ეკონომიკა და მიღწეულია ცხოვრების ისეთი დონე, სადაც მაცხოვრებლებს აქვთ საერთო კეთილდღეობის შექმნაში მონაწილეობის შესაძლებლობა;

- რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სხვა რეგიონებთან და აქტიურ როლს თამაშობს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციაში.

პრიორიტეტული მიმართულებები:

პრიორიტეტი 1 - ჯანსაღი და სოციალურად განვითარებული საზოგადოება;

პრიორიტეტი 2 - იმერეთი - ადგილი მეწარმეებისთვის;

პრიორიტეტი 3 - სოფლის კატეგორიის დასახლებებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება;

პრიორიტეტი 4 - იმერეთი - საქართველოს დასავლეთის ტურისტული ჰაბი;

იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულია 14 მიზანი და მათი მიღწევისთვის დასახული 100-ზე მეტი ამოცანა.

თოთხმეტივე მიზნის მიღწევა მნიშვნელოვანია, თუმცა ეკონომიკური მიმართულებით შეგვიძლია გამოვყოთ:

მიზანი 3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სრულყოფა;

მიზანი 7. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ინოვაციების მოზიდვა;

მიზანი 8. მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;

მიზანი 9. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

მიზანი 10. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების და პროდუქტიულობის გაზრდა;

მიზანი 12. იმერეთის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურისტების მომსახურების დონის ამაღლება

მიზანი 13. ტურისტული პროდუქტების შექმნა და იმერეთის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია

სამაგიდო კვლევის შედეგად აღნიშნული დოკუმენტიდან შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ეკონომიკური დარგები:

- ტურიზმი;
- სამედიცინო ბიზნესი;
- სოფლის მეურნეობა.

ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“ - მიღებულია 2016 წლის 31 აგვისტოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, რომელიც ვრცლად და დეტალურად აღწერს არსებულ სიტუაციას და სახავს კონკრეტულ მიზნებს და ამოცანებს ქალაქის განვითარების მიმართულებით.

სტრატეგიის მიხედვით ქუთაისი განხილულია, როგორც იმერეთის ცენტრი და დასავლეთ საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი. შესაბამისად, მონაცემების ანალიზი ხშირ შემთხვევაში რეგიონულ ჭრილშია მოცემული.

დოკუმენტის თანახმად სტრატეგიის განხორციელების შედეგად ქუთაისი იქნება:

- რეგიონული მნიშვნელობის ცოდნის, მედიცინის, კულტურისა და სპორტის ქალაქი, თავისი იდენტობით, ამაყი და აქტიური მაცხოვრებლებით;
- ქალაქი, რომელიც სარგებელს ნახულობს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და მხარს უჭერს ადგილობრივ და მაღალი დამატებული ღირებულების შემქმნელ ბიზნესს;
- დასავლეთ საქართველოს ხარისხიანი სერვისებით უზრუნველმყოფი ქალაქი.

დოკუმენტი მოიცავს ქალაქის წინაშე არსებულ ძირითად გამოწვევებს, 7 სტრატეგიულ მიზანს და 10 პროგრამას

ცხრილი 1: ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2021-ის სტრუქტურა

ძირითადი გამოწვევები
<ol style="list-style-type: none"> 1. ქალაქის მოსახლეობის შემცირების შეჩერება; 2. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნა; 3. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა; 4. რეგიონული კულტურული და სპორტული პროდუქტების შექმნა; 5. რეგიონის მომსახურე სამედიცინო და გამაჯანსაღებელი სერვისების გაუმჯობესება; 6. ტურისტული შესაძლებლობების გამოყენება და სავაჭრო კავშირების გაძლიერება; 7. ქუთაისი – ქალაქი ბიზნესის, არამომგებიანი ორგანიზაციების, შემოქმედებითი და აქტიური ადამიანებისათვის; 8. ქალაქის და მისი სივრცეების მართვის გაუმჯობესება; 9. საქართველოს მუნიციპალიტეტებთან ერთად საერთო პროდუქტებისა და სერვისების მომზადება.
სტრატეგიული მიზნები
<ol style="list-style-type: none"> 1. დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქის ფუნქციის გაძლიერება; 2. ქალაქის ეკონომიკის განახლება და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა; 3. ქალაქის, როგორც განათლების რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა; 4. ქალაქის, როგორც კულტურის და სპორტის რეგიონული ცენტრის მნიშვნელობის გაზრდა;

- 5. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და რეგიონული სამედიცინო მომსახურების განვითარება;
- 6. რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ჰაბის ფუნქციის გაძლიერება;
- 7. თვითმყოფადი ქალაქი მდგრადი გარემოთი.

სტრატეგიული პროგრამები

- 1. ვიცხოვროთ ქუთაისში;
- 2. ქუთაისი – განათლებისა და ცოდნის ქალაქი;
- 3. ქუთაისი – კულტურის ქალაქი;
- 4. სპორტული ქუთაისი;
- 5. ქუთაისი თქვენი ბიზნესის ადგილი;
- 6. ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი;
- 7. ქალაქი მდინარის პირას;
- 8. განახლებული ქალაქი;
- 9. ერთად განვითარდეთ;
- 10. ვენდობით ერთმანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2021 მაღალ პროფესიონალურ დონეზეა შემუშავებული. მისი შედგენის, განხილვისა და დამტკიცების პროცესი მაქსიმალური ჩართულობით და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა. შესაბამისად ეს დოკუმენტი ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია სამაგიდო კვლევის განხორციელების დროს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია - ქუთაისი 2021 - დან შესაძლებელია გამოვეყნოთ შემდეგი ეკონომიკური მიმართულებები:

- ტურიზმი;
- ვაჭრობა;
- სამედიცინო ბიზნესი;
- განათლება;

ქალაქ ქუთაისის და იმერეთის რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებული სტრატეგიული და ნორმატიული დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი უმეტესობა საზღვრავს მეტწილად მსგავს პრიორიტეტებს განვითარებისათვის, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ასევე მოცემულია განსხვავებული პრიორიტეტებიც.

2.2. არსებული კონკურენტული სექტორების გამოვლენა

კვლევის საწყის ეტაპზე განთავსების კოეფიციენტის და ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი იქნა ჩატარებული. სტატისტიკური მონაცემები აღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზიდან. მონაცემები მოიცავდა კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობებს და შექმნილ დამატებით ღირებულებას ეკონომიკური საქმიანობების (სექცია NACE rev 1.1 -ის მიხედვით) მიხედვით 2010-2016 წლებში. ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი და განთავსების კოეფიციენტი მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია რეგიონული ეკონომიკის შესაფასებლად. განხილული ეკონომიკური სექტორები მოიცავდა:

ცხრილი 2: ეკონომიკური საქმიანობები NACE rev 1.1-ის მიხედვით

სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა
თევზჭერა, მეთევზეობა
სამთომოპოვებითი მრეწველობა
დამამუშავებელი მრეწველობა
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება
მშენებლობა
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი
სასტუმროები და რესტორნები
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა
განათლება
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა

2.2.1. განთავსების კოეფიციენტი (LQ) იმერეთში

განთავსების კოეფიციენტი გამოთვლილი იქნა რეგიონში მოქმედი ყველა სექტორისთვის. მიღებული შედეგების საფუძველზე კი სექტორები დაიყო რეგიონისთვის ძირითად და არაძირითად სექტორებად.

განთავსების კოეფიციენტზე დაყრდნობით, იმერეთის რეგიონისთვის დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი ძირითადი სექტორები (რომელთა კონცენტრაციის დონე იმერეთში მაღალია):

- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- დამამუშავებელი მრეწველობა;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- განათლება.

ცხრილი 3: ძირითადი და არაძირითადი სექტორები იმერეთის რეგიონისთვის LQ ანალიზის მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობების მიხედვით (კერძო სექტორი)²

	ეკონომიკური საქმიანობა (სექტორი)	საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა (2016)	იმერეთის რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობა (2016)	LQ	ძირითადი/არაძირითადი
1	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	12,522	490	0.5	არაძირითადი
2	თევზჭერა, მეთევზეობა	464	0	0.0	არაძირითადი
3	სამთომოპოვებითი მრეწველობა	8,000	2431	4.1	ძირითადი
4	დამამუშავებელი მრეწველობა	92,538	13173	1.9	ძირითადი
5	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	20,245	316	0.2	არაძირითადი
6	მშენებლობა	73,648	4697	0.9	არაძირითადი
7	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	170,567	11236	0.9	არაძირითადი
8	სასტუმროები და რესტორნები	37,431	2414	0.9	არაძირითადი
9	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	65,219	2018	0.4	არაძირითადი
10	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	66,181	2811	0.6	არაძირითადი
11	განათლება	21,970	1820	1.1	ძირითადი
12	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	65,557	6712	1.4	ძირითადი

² წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

13	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	32,447	1430	0.6	არამირითადი
----	--	--------	------	-----	-------------

განთავსების კოეფიციენტზე დაყრდნობით, იმერეთის რეგიონისთვის დამატებული ღირებულების მიხედვით გამოვლინდა შემდეგი ძირითადი სექტორები (სექტორები, რომელთა კონცენტრაციის დონე იმერეთში მაღალია):

- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- დამამუშავებელი მრეწველობა;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- სოფლის მეურნეობა;
- სასტუმროები და რესტორნები.

ცხრილი 4: ძირითადი და არამირითადი სექტორები იმერეთის რეგიონისთვის LQ ანალიზის მიხედვით, შექმნილი დამატებული ღირებულების მიხედვით (კერძო სექტორი)³

	ეკონომიკური საქმიანობა (სექტორი)	საქართველოში შექმნილი დამატებული ღირებულება (2016)	იმერეთის რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება (2016)	LQ	ძირითადი/არამირითადი
1	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	126.7	7.4	1.4	ძირითადი
2	თევზჭერა, მეთევზეობა	7.5	0	0.0	არამირითადი
3	სამთომოპოვებითი მრეწველობა	261.4	50.4	4.5	ძირითადი
4	დამამუშავებელი მრეწველობა	2157.5	205.5	2.2	ძირითადი
5	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	937.0	11.7	0.3	არამირითადი
6	მშენებლობა	2646.3	79.6	0.7	არამირითადი
7	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი	3588.4	140	0.9	არამირითადი

³ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

	მოხმარების საგნების რემონტი				
8	სასტუმროები და რესტორნები	608.0	29.8	1.1	ძირითადი
9	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2263.7	24.7	0.3	არამირითადი
10	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1960.9	65.3	0.8	არამირითადი
11	განათლება	245.6	9.7	0.9	არამირითადი
12	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	993.5	81.4	1.9	ძირითადი
13	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	975.9	14.5	0.3	არამირითადი

2.2.2. ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზი იმერეთში

Shift Share ანალიზი დასაქმებულთა რაოდენობის და დამატებული ღირებულების მიხედვით განხორციელდა რეგიონში მოქმედი ყველა სექტორისთვის და გამოვლინდა სექტორები, რომლებშიც მოცემულ რეგიონს გააჩნია კონკურენტული უპირატესობა.

იმერეთის რეგიონში ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზის საფუძველზე დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, გამოვლინდა შემდეგი კონკურენტუნარიანი სექტორები:

- მშენებლობა;
- სასტუმროები და რესტორნები;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- სამთომოპოვებითი მრეწველობა.

ცხრილი 5: რეგიონის ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზის შედეგები იმერეთის რეგიონში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით⁴

⁴ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური საქმიანობა (სექტორი)		NGE	IME	CE	რაოდენობრივი ცვლილება დასაქმებაში (2016 წელს 2010 წელთან შედარებით)
1	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	248	-97	-268	-117
2	თევზჭერა, მეთევზეობა				
3	სამთომოპოვებითი მრეწველობა	1032	-144	42	931
4	დამამუშავებელი მრეწველობა	6784	-3330	-1772	1682
5	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	459	-446	-571	-558
6	მშენებლობა	1740	1	845	2586
7	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	3620	3077	154	6852
8	სასტუმროები და რესტორნები	658	382	775	1815
9	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	730	-350	510	889
10	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	1366	710	-1279	796
11	განათლება	1017	-284	-913	-179
12	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3803	-3029	-1643	-869
13	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	762	179	-752	188

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით გამოთვლილი ანალიზის შედეგების მიხედვით, იმერეთის რეგიონისთვის ყველაზე მეტად კონკურენტული სექტორი, სადაც ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა, სექტორის კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე მშენებლობაა. 2016 წელს, 2010 წელთან შედარებით, იმერეთში მშენებლობის კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2586-ით გაიზარდა, და აქედან ყველაზე მეტი-845 ადგილი Shift-Share-ის მიხედვით, მშენებლობის სექტორის იმერეთში კონკურენტუნარიანობის გამო შეიქმნა.

იმერეთისთვის ასევე კონკურენტული სექტორებია სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, სამთომოპოვებითი მრეწველობა.

დამატებული ღირებულების მიხედვით გამოვლენილი კონკურენტული სექტორები:

- ვაჭრობა;
- სასტუმროები და რესტორნები;
- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა.

ცხრილი 6: რეგიონის ეკონომიკის ცვლილებათა მიზეზების ანალიზის შედეგები იმერეთის რეგიონში დამატებული ღირებულების მიხედვით⁵

ეკონომიკური საქმიანობა (სექტორი)	NGE	IME	CE	ცვლილება დამატებულ ღირებულებაში (2016 წელს 2010 წელთან შედარებით) (მლნ. ლარი)
1 სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	2.3	1.2	2.0	5.4
2 თევზჭერა, მეთევზეობა				
3 სამთომოპოვებითი მრეწველობა	32.4	-11.2	11.9	33
4 დამამუშავებელი მრეწველობა	197.4	-77.6	-89.0	30.8
5 ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	14.4	-8.1	-7.9	-1.6
6 მშენებლობა	53.6	43.3	-34.4	62.5
7 ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	66.3	-5.0	47.6	108.9
8 სასტუმროები და რესტორნები	7.0	8.2	13.1	28.4
9 ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	11.1	-6.3	10.2	15
10 ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და	32.4	17.9	-7.2	43.1

⁵ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

	მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა				
11	განათლება	5.6	0.8	-1.6	4.8
12	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	50.0	7.8	-19.2	38.6
13	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	10.0	6.0	-6.9	9.1

დამატებული ღირებულებით გამოთვლილი შედეგების მიხედვით, იმერეთის რეგიონისთვის ყველაზე მეტად კონკურენტული სექტორი, სადაც ყველაზე მეტი დამატებული ღირებულება შეიქმნა, სექტორის კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტია. 2016 წელს, 2010 წელთან შედარებით, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება 108.9 მილიონი ლარით გაიზარდა, Shift-Share-ის მიხედვით, აქედან 47.6 მილიონი ლარი იმერეთში ვაჭრობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გამო შეიქმნა.

ასევე იმერეთისთვის კონკურენტუნარიან სექტორს წარმოადგენს: სასტუმროები და რესტორნები, სამთომოპოვებითი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა.

2.2.3. ჯამური ქულების გაანგარიშება

ეკონომიკის მიზეზების ცვლილებათა ანალიზის ჩატარების შემდგომ, მოხდა დამატებული ღირებულების და დასაქმებულთა რაოდენობების მიხედვით მიღებული შედეგების სინთეზი, თითოეულ სექტორს მიენიჭა ქულა და გამოთვლილი იქნა ჯამური ქულები. ქულების მინიჭებების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: მთლიანი შიდა პროდუქტით და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით გამოთვლილ Shift-Share-ში იმ სექტორებს, რომლებსაც CE (კონკურენტუნარიანობის საზომი) ჰქონდათ დადებითი მნიშვნელობა 1-დან 5-მდე ქულები. ყველაზე კონკურენტულ სექტორს მიენიჭა 5 ქულა, მეორე ადგილას მყოფს - 4, და ა.შ. იმ

სექტორებს, რომლებსაც CE ქონდათ უარყოფითი მიენიჭათ -1-დან -7-მდე⁶ ქულები. -7 ქულა მიენიჭა მათ შორის ყველაზე მეტად არაკონკურენტულ სექტორს, -1 ყველაზე ნაკლებად არაკონკურენტულს. შემდგომ თითოეული სექტორისთვის მოხდა ჯამური ქულების დაანგარიშება და იმერეთისთვის კონკურენტული სექტორების გამოვლენა. რაც უფრო მაღალი ჯამური ქულა აქვს სექტორს, მით მეტად კონკურენტულია.

ცხრილი 7. ჯამური ქულების გაანგარიშება

ეკონომიკური საქმიანობა (სექტორი)		ქულა (დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით)	ქულა (დამატებული ღირებულების მიხედვით)	ჯამური ქულა
1	სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	-1	-1	0
2	თევზჭერა, მეთევზეობა			
3	სამთომოპოვებითი მრეწველობა	3	1	4
4	დამამუშავებელი მრეწველობა	-7	-7	-14
5	ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	-4	-2	-6
6	მშენებლობა	-6	5	-1
7	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	5	2	7
8	სასტუმროები და რესტორნები	4	4	8
9	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2	3	5
10	ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	-3	-5	-8
11	განათლება	-1	-4	-5
12	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	-5	-6	-11
13	კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	-2	-3	-5

⁶ შენიშვნა: თითოეული მაჩვენებლის-„დასაქმების და დამატებული ღირებულების“ მიხედვით გამოვლინდა 7 არაკონკურენტული სექტორი იმერეთისთვის, შესაბამისად 7 არაკონკურენტულ სექტორს შორის ქულები გადანაწილდა -1-დან -7-მდე.

შედეგების მიხედვით, იმერეთისთვის გამოვლინდა შემდეგი კონკურენტული სექტორები:

ცხრილი 8. კონკურენტული სექტორები

	სექტორი	ქულა
1	სასტუმროები და რესტორნები	8
2	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	7
3	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	5
4	სამთომოპოვებითი მრეწველობა	4

2.3. პოტენციური/პერსპექტიული სექტორების გამოვლენა

კვლევის მეთოდოლოგიაში უკვე აღინიშნა, რომ კვლევის პროცესში „დეღის“ მეთოდის გამოყენების მთავარი მიზანი იყო სამიზნე გეოგრაფიული არეალისათვის არა მხოლოდ არსებული კონკურენტული დარგების, არამედ ისეთი დარგების გამოვლენა, რომლებიც ამჟამად არ არიან მოწინავენი რეგიონისათვის, თუმცა უახლოეს მომავალში შეიძლება სწრაფად განვითარდნენ, ანუ ეკონომიკის დარგების განვითარების პერსპექტივის შეფასება. ამისათვის კვლევითი ჯგუფის მიერ განხორციელდა:

- საკვლევი ანკეტის შემუშავება, რომელიც არგუმენტირებული პასუხებისათვის დაეგზავნა წინასწარ შერჩეულ რესპოდენტებს. ამასთან, პასუხის მოცულობა და პრიორიტეტულად მიჩნეული დარგების რაოდენობა არ შეიზღუდა რესპოდენტებისათვის;
- რესპოდენტთა წრის განსაზღვრა. მკვლევართა ჯგუფის მიერ შერჩეული იქნა 20 რესპოდენტი რომელთაც ეთხოვათ ანკეტის შევსება და დაბრუნება. რესპოდენტების შერჩევას გათვალისწინებული იქნა მათი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობის სფერო, არსებული და წარსული საქმიანობები, გამოცდილება და კომპეტენცია;
- მიღებული ანკეტების ანალიზი. მკვლევართა ჯგუფმა მიიღო 17 სრულად შევსებული ანკეტა, რომლებშიც რესპოდენტებს არგუმენტირებულად ქონდათ დასაბუთებული ამა თუ იმ დარგის პერსპექტიულობა. ანალიზმა აჩვენა, რომ ექსპერტთა მოსაზრებები უმეტეს შემთხვევაში ემთხვეოდა ერთმანეთს, თუმცა იყო ასევე განსხვავებული მოსაზრებებიც. მკვლევართა მიერ, თითოეული შევსებული ანკეტის საფუძველზე გაკეთდა იმ დარგების ჩამონათვალი, რომლებიც თუნდაც ერთმა რესპოდენტმა მაინც დაასახელა, ასეთი კი სულ 14 აღმოჩნდა;


- დარგების პრიორიტეტულობის განსაზღვრა. „დელფის“ მეთოდით კვლევის პირველი ეტაპის შედეგების საფუძველზე გაკეთებული პერსპექტიული დარგების ჩამონათვალი დაეგზავნა კვლევაში მონაწილე რესპოდენტებს და ეთხოვათ პრიორიტეტულობის მიხედვით მათი დალაგება შემდეგი პრინციპით: 1 - ყველაზე პრიორიტეტული, 14 - ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული. შესაბამისად, დარგი რომელმაც ყველაზე დაბალი ჯამური ქულა მიიღო განისაზღვრა როგორც ყველაზე პრიორიტეტული და პირიქით (ცხრილი 9);
- საკვლევი დარგების შერჩევა. „დელფის“ მეთოდით ჩატარებული კვლევის საბოლოო შედეგებით გამოიკვეთა სამი ყველაზე პერსპექტიული დარგი რეგიონისათვის, რომლებიც, რესპოდენტთა მიერ მინიჭებული ქულებით, მნიშვნელოვნად უსწრებენ სხვა დანარჩენებს, ესენია:
 - ტურიზმი;
 - სასტუმროები და რესტორნები;
 - განათლება.

აღსანიშნავია, რომ „დელფის“ მეთოდით კვლევის შედეგად განსაზღვრული სამი ყველაზე პერსპექტიული დარგიდან/სექტორიდან, მეორე ადგილზე მყოფი - „სასტუმროები და რესტორნები“, იდენტურია, LQ და Shift Share მეთოდებით განსაზღვრული ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორისა. გამომდინარე აქედან, შემდგომი სიღრმისეული კვლევისათვის გამოიკვეთა შემდეგი 5 დარგი:

- სასტუმროები და რესტორნები;
- ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- ტურიზმი;
- განათლება.

#	დარგის დასახელება	რესპონდენტები																	შედეგი
		N1	N2	N3	N4	N5	N6	N7	N8	N9	N10	N11	N12	N13	N14	N15	N16	N17	
1	ტურიზმი	4	1	2	2	1	1	4	7	1	1	3	5	3	2	1	1	4	43
2	სასტუმროები და რესტორნები	5	3	1	4	2	2	5	4	2	2	4	6	4	8	2	8	3	65
3	განათლების სფერო	9	5	4	1	9	3	6	2	3	4	10	1	6	1	7	7	1	79
4	სამედიცინო სფერო	8	4	3	7	6	4	7	8	9	5	11	7	14	3	14	6	2	118
5	აგრარული პროდუქტის გადამუშავება	7	7	10	6	5	8	12	1	5	13	2	12	1	5	12	2	11	119
6	მსუბუქი მრეწველობა (სამკერვალო, აბრეშუმის წარმოება)	6	8	11	3	7	7	9	9	6	9	5	2	5	7	13	9	8	124
7	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2	10	6	14	11	5	2	3	13	12	6	8	7	13	3	3	6	124
8	ვაჭრობა	1	6	5	9	10	10	1	5	10	10	13	10	13	9	8	5	5	130
9	მშენებლობა	3	2	9	12	12	6	3	6	14	11	7	9	11	11	9	4	7	136
10	სოფლის მეურნეობა (ეკოლოგიური პროდუქტის წარმოება)	13	13	12	5	4	12	11	10	4	8	1	11	2	4	4	13	12	139
11	ენერგეტიკა(მცირე და საშუალო ჰესების წარმოება)	10	12	7	10	14	9	8	13	11	3	9	4	8	12	10	14	10	164
12	სამშენებლო მასალების წარმოება (გრანიტის ქვა და ა.შ)	12	11	8	11	3	14	10	11	8	6	8	13	9	10	11	12	9	166
13	მანქანათმშენებლობა (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა)	14	14	13	8	8	13	14	12	7	7	14	3	10	6	5	11	14	173
14	სამთო-მოპოვებითი წარმოება	11	9	14	13	13	11	13	14	12	4	12	14	12	14	6	10	13	195

სქემა 1. კვლევის ანგარიშის სტრუქტურა.




III. კონკურენტული დარგების/სექტორების ანალიზი

3.1. სასტუმროები და რესტორნები

სასტუმროების და რესტორნების სექტორი მზარდ სექტორს წარმოადგენს იმერეთის რეგიონისთვის. აღნიშნულ სექტორში, 2011 წლიდან, იზრდება როგორც პროდუქციის გამოშვება, ასევე ბრუნვა და შექმნილი დამატებული ღირებულება.

2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში 29,8 მილიონი ლარის დამატებული ღირებულება შეიქმნა, რამაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს შექმნილი დამატებული ღირებულების 4,1% შეადგინა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდამ 70% შეადგინა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 54,6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს გამოშვებული პროდუქციის 3,3%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, გამოშვებული პროდუქციის ზრდამ 54,6% შეადგინა.

2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორის ბრუნვამ 55,9 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორის 2016 წლის ბრუნვის 2%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ბრუნვის ზრდამ 54,6% შეადგინა.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების სექტორი როგორც შექმნილი დამატებული ღირებულებით და

ბრუნვით, ასევე, პროდუქციის გამოშვებით მხოლოდ თბილისს და აჭარის რეგიონს ჩამორჩება.


2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების⁷ მოცულობამ 0,7 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს განხორციელებული ინვესტიციების 0.6%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, განხორციელებული ინვესტიციების ზრდამ 250% შეადგინა. მიუხედავად ასეთი ზრდის, 2016 წელს იმერეთში სასტუმროების და რესტორნების სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ჩამოუვარდება ისეთ რეგიონებს როგორცაა კახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში 2414 კაცი იყო დასაქმებული, აღნიშნული იმერეთის კერძო სექტორში დასაქმებულთა 4,9%-ს შეადგენდა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, აღნიშნულ სექტორში დასაქმება 21,1%-ით გაიზარდა, აღნიშნულმა ზრდამ გადააჭარბა საქართველოში სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში დასაქმებულთა ზრდის ტემპს, ხოლო რეგიონების მიხედვით მხოლოდ გურიის და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონების ზრდის ტემპს ჩამორჩა. სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობით იმერეთი მხოლოდ თბილისს და აჭარას ჩამორჩება.

⁷ ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, რაც გულისხმობს საწარმოში საკუთარი ან სხვა სუბიექტებიდან მოზიდულ სახსრებს ან ქონებას. მოიცავს როგორც პირდაპირ უცხოურ ასევე შიდა ინვესტიციას.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში არსებული საშუალოთვიური ხელფასი 276 ლარს შეადგენდა, რაც 55,9%-ით ნაკლებია 2016 წელს საქართველოში აღნიშნულ სექტორში არსებულ საშუალოთვიურ ხელფასზე. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, იმერეთში, აღნიშნულ სექტორში საშუალოთვიური ხელფასის ზრდამ მხოლოდ 0,5% შეადგინა. 2016 წლის მონაცემებით, იმერეთში, სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში არსებული საშუალოთვიური ხელფასი შიდა ქართლის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონების გარდა ყველა რეგიონში და თბილისში არსებულ საშუალოთვიურ ხელფასს ჩამორჩება.

სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები იმერეთში. სასტუმროს და რესტორნების სექტორში იმერეთში 471 აქტიური საწარმო ფუნქციონირებს⁸, მათგან 107 წარმოადგენს განთავსების საშუალებას, 364 კი საკვებით და სასმელებით მომსახურების საქმიანობას ეწევა⁹.

საწარმოთა უმეტესობა მცირე ზომისაა. ძველი მეთოდოლოგიით¹⁰ აღნიშნულ სექტორში მხოლოდ სამი ორგანიზაციაა მსხვილი ზომის (სამივე მათგანი


⁸ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, 2018 წლის ივლისი მონაცემები. აღებულია ის საწარმოები, რომელთა ფაქტობრივი მისამართია იმერეთი. NACE rev 1-ის და NACE rev. 2-ის კლასიფიკაცია.

⁹ NACE rev. 2-ის მიხედვით განყოფილება

¹⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით:

მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 100 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 1,5 მლნ ლარს.

განთავსების საშუალებაა): კურორტი საირმე (ბაღდადის მუნიციპალიტეტი), წყალტუბო პლაზა (წყალტუბო), საქართველოს სასტუმროები და სპა (წყალტუბო). ხოლო ახალი მეთოდოლოგიით¹¹, რომლის მიხედვით მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს, იმერეთში, აღნიშნულ სექტორში არც ერთი მსხვილი საწარმო არ ფუნქციონირებს.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები - საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება¹². იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში, 2012-2017 წლებში შექმნილი საწარმოთა რაოდენობა აღემატება ბაზრიდან გასულ საწარმოთა რაოდენობას¹³. ჯამში 2012-2017 წლებში აღნიშნულ სექტორში, იმერეთში, 885

საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 0.5 მლნ ლარიდან 1.5 მლნ ლარამდე.

მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0.5 მლნ ლარს.

¹¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით:

მსხვილია საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს. **საშუალო ზომისაა საწარმო**, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

¹² NACE რეკ. 2-ის მიხედვით

¹³ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორი, საწარმოთა დემოგრაფიის მაჩვენებლები- დაბადება, გარდაცვალება 2012-2017 წლები

საწარმო შეიქმნა, მათ შორის 156 განთავსების საშუალება და 729 საკვებით და სასმელებით მომსახურების ობიექტი.

2012-2017 წლებში, იმერეთში, აღნიშნული სექტორი დატოვა 433-მა საწარმომ, მათ შორის 50 განთავსების საშუალება და 383 საკვებით და სასმელებით მომსახურების ობიექტი.


ყველაზე მეტად საწარმოთა დაბადება, აღნიშნულ სექტორში, 2012 და 2015 წლებში გაიზარდა, შესაბამისად 61%-ით და 64%-ით, თუმცა ბოლო წლებში 2016-2017 საწარმოთა დაბადების ზრდის ტემპი კლებადია, ხოლო საწარმოთა გარდაცვალების ზრდის ტემპი ზრდადი.

ცხრილი 10. საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება იმერეთში სასტუმროების და რესტორნების სექტორის საქმიანობების სახეების მიხედვით 2012-2017 წლები

საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 2)	დემოგრაფიის მაჩვენებლები	2012	2013	2014	2015	2016	2017
I	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	საწარმოთა დაბადება	127	204	136	223	105	90
		საწარმოთა გარდაცვალება	15	11	71	69	125	142
55	განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	საწარმოთა დაბადება	16	31	28	52	18	11
		საწარმოთა გარდაცვალება	2	4	10	10	12	12
56	საკვებით და სასმელებით მომსახურება	საწარმოთა დაბადება	111	173	108	171	87	79
		საწარმოთა გარდაცვალება	13	7	61	59	113	130

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქუთაისის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. ქუთაისის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში 232 საწარმო ფუნქციონირებს: 70 განთავსების საშუალება, 162 საკვებით და სასმელებით მომსახურება. ქუთაისის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების რაოდენობა იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების 49.2%-ს შეადგენს. ქუთაისში აღნიშნულ სექტორში მოქმედი საწარმოების უმრავლესობა მცირე ზომისაა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი


სასტუმროების მომსახურება

კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ქუთაისში და მის შემოგარენში აღნიშნულ სექტორში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ჰოსტელებისა და „საოჯახო ტიპის“ სასტუმროებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ბიზნესში, ბაზარი გაჯერებული არ არის, მოთხოვნა მსხვილი ჯგუფებისა და „მაღალშემოსავლიანი“ ტურისტებისა და ვიზიტორების დაკმაყოფილებაზე ჭარბია, შესაბამისად აქტუალურია ე.წ. ბრენდული და მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობა.

ზოგადად სასტუმროების განვითარების სტრუქტურასა და პერსპექტივებზე ქუთაისში, ისევე როგორც ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურიზმის სექტორი და ვიზიტორთა რაოდენობრივი ცვლილების დინამიკა. ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკისა და ქუთაისის აეროპორტის მგზავრთნაკადის ყოველწლიურად მნიშვნელოვანმა ზრდამ, სახელმწიფოს ხელშეწყობი პროგრამებისა და საოჯახო სასტუმრო ბიზნესის დაწყების ხელმისაწვდომობამ, თავისუფალი მომგებიანობის მარჟისა და მცირე მიმდინარე დანახარჯების სტრუქტურამ, მნიშვნელოვნად უზრუნველყო ამ სექტორში აქტიური ბიზნეს სუბიექტების მომრავლება. შესაბამისად ტურიზმისა და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ფაქტორების სტაბილური, და უფრო მეტიც ზრდის ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში აღნიშნულ დარგს განვითარებისა და თავისი ეკონომიკური ხვედრითი წილის ზრდის პერსპექტივა გააჩნია.

ტურისტთა/ვიზიტორთა ნაკადისა და შიდა ტურისტული მიგრაციის გათვალისწინებით, ყველაზე დატვირთულ სეზონად ზაფხული მიიჩნევა. ამას ადასტურებს ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები. ამავდროულად

გაზაფხულზეც ნორმალური მაჩვენებელი ფიქსირდება, და შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ აქტიური სეზონი სასტუმრო ბიზნესისათვის გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდებია - ჯამური ხვედრითი წილი 83%-ს შეადგენს.



ამავდროულად ქუთაისში, მიუხედავად მზარდი ტენდენციებისა, მაინც არსებობს სექტორში მიწოდების დაკმაყოფილების პრობლემა, მხედველობაშია მომხმარებლის ზრდის პროპორციულად საკმარისი ოთახებისა და საწოლი ადგილების ნაკლებობა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა სარგებლობენ ბაზარზე უკვე დამკვიდრებული სუბიექტები, თუმცა ეს ვერ უზრუნველყოფს კონკურენციის ხარისხს, და შესაბამისად ვაწყდებით ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: მომხმარებელთა მიერ წინასწარი დაგეგმვის შეზღუდვა, მენეჯმენტის და სერვისის დაბალი დონე, უკეთესის ძიების მუდმივი სურვილი და სხვა ქალაქში დაბინავება (ძირითადად თბილისსა და ბათუმში) და ა.შ.

მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ვიზიტორთა და ტურისტთა ქალაქ ქუთაისში ხანგრძლივად გაჩერების საკითხი. ქუთაისის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტის ფუნქციონალურმა დატვირთვამ და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ (მნიშვნელოვანი განვითარების ტენდენციებით დასავლეთ საქართველოს ჰაბის სტრუქტურით), ქუთაისსა და მის შემოგარენში უამრავი ისტორიულ-კულტურული ძეგლისა და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების არსებობით, ქალაქს შესძინა საკვანძო ფუნქცია, იყოს შემკრები და გამანაწილებელი ტურისტთა და ვიზიტორთა ნაკადის რეგიონში.

ძალზედ დატვირთულია ქუთაისიდან სვანეთის მიმართულება, პრომეთე-სათაფლიას მიმართულება, მარტვილისა და სამეგრელოს მიმართულება და რაჭის მიმართულება(ამ ადგილებშიც სასტუმრო ბიზნესი მზარდია, თუმცა პირველ რიგში შიდა მიგრაციის ხარჯზე). მიუხედავად იმისა, რომ თავად ქუთაისი, საკუთარ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდიდარია სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ-ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, მათი ცნობადობის დონე ჯერ კიდევ დაბალია საზღვარგარეთ (გელათისა და მოწამეთის კომპლექსების გარდა, რომლებიც არ შედიან ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში). ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები ძლიერი და გადამცემი პოპულარობით სარგებლობს უცხოელ მოქალაქეებში. ამიტომ საკუთრივ ქუთაისში ტურისტების სტრუქტურა და დენადობა ძალზედ არამდგრადია და უფრო ვიზიტორების ხვედრითი წილი სჭარბობს, ვინაიდან მათი აბსოლუტური უმრავლესობა ჩამოდის აეროპორტის საშუალებით, გეგმავს ქუთაისის გარეთ ატრაქციების მონახულებას და ვიზიტის დასასრულს ბრუნდება ქუთაისში, აეროპორტში წასასვლელად (უმრავლესობა რეისებისა სრულდება გვიან ღამით ან დილით). ფაქტობრივად ვლემულობთ აეროპორტში დისლოცირების დღეებსა და ღამეებს.¹⁴

დასაქმების სტრუქტურა: ჰოსტელებსა და „საოჯახო ტიპის“ სასტუმროებში ჭარბობს თვიდასაქმების ელემენტი. ბიზნესის მართვას ძირითადად ახდენენ საოჯახო მეურნეობები. მამაკაცები ძირითადად უზრუნველყოფენ სასტუმროს მომარაგებას, კლიენტთა მოზიდვას, ზოგიერთ შემთხვევაში ტრანსპორტით უზრუნველყოფასაც, ქალები კი ჰიგიენური და კვებითი მომსახურების უზრუნველყოფას. თითქმის უმრავლეს შემთხვევებში საფინანსო-საგადასახადო დოკუმენტაციის აღრიცხვისა და მოწესრიგებისათვის ხორციელდება აუთსორსინგი შესაბამისად ამ ტიპის სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობა არ არის მაღალი და მერყეობს 3-5 ადამიანამდე. არის შემთხვევები, როდესაც ბიზნესის გაფართოების შემდეგ ხორციელდება დამხმარე პერსონალის დამატებით აყვანა. ასეთ შემთხვევებში დასაქმებულთა რაოდენობა 10-დან 20 ადამიანამდე მერყეობს.

განსხვავებული სტრუქტურა გვხვდება მსხვილ და საშუალო ტიპის სასტუმროებში. აქ დასაქმებულთა რაოდენობა 30-50 კაცამდე მერყეობს. ჩნდება ადმინისტრაციის, დარაჯების, გაყიდვების მენეჯერის, რესტორნისა და ბარების პერსონალის კომპონენტი.

შემოსავლები. მისაღები შემოსავლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქალაქში და მის შემოგარენში ჩამოსულ ტურისტთა და ვიზიტორთა ნაკადზე და საანგარიშო

¹⁴ უფრო დაწვრილებით იხ. ამავე ანგარიშის 3.4. ქვეთავი

წლის მანძილზე ზოგადად სეზონურ დატვირთვაზე. გვხვდება რეგიონის მასშტაბით სამსახურებრივი მივლინებების კომპონენტი და შიდა ტურიზმის ელემენტები, თუმცა მათი ხვედრითი წილი სექტორში ძალიან მცირეა. სწორედ ამიტომ შემოსავლების ნაკადი სტრუქტურულად სეზონურია, მისი მნიშვნელოვანი დაგეგმვა გაზაფხულისა და ზაფხულის თვეებში ხორციელდება და დანახარჯების წლიურ გადანაწილებაზე ისაზღვრება. ამ პერიოდის გათვალისწინებით ჰოსტელებსა და საოჯახო ტიპის სასტუმროებში მინიმალური შემოსავლების ბრუნვა 40-50 ათას ლარამდეა, საშუალო ტიპის სასტუმროებში 200 ათას, ხოლო მსხვილ სასტუმროებში 0,5-1 მლნ. ლარამდე.

დანახარჯების სტრუქტურა და მომგებიანობა. ჰოსტელებისა და საოჯახო ტიპის სასტუმროების მიმდინარე დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი, ამ ბიზნესის პერსპექტივის მნიშვნელოვანი გარანტია. უმრავლეს შემთხვევაში მათი წილი სასტუმრო მომსახურებაში 50%-ს არ აჭარბებს. მათი სტრუქტურა კი ძირითადად შემდეგნაირად გამოიყურება:

- Booking.com-ის გამოყენების ხარჯი;
- კომუნალური გადასახდელები;
- ჰიგიენური საშუალებები და მომსახურება;
- თეთრეული;
- კვების პროდუქტები;
- საბუღალტრო მომსახურება;
- ტრანსპორტირება;
- საბანკო ვალდებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გადასახადები (ძირითადად ინდ. მეწარმის, მეწარმე ფიზიკური პირის კანონმდებლობით დადგენილი ბეგარა);
- პერიოდულად ინვენტარის, ავეჯის განახლების ხარჯები.

საშუალო და დიდი ზომის სასტუმროებში დანახარჯთა სისტემა მეტად კომპლექსურია, ის დამოკიდებულია სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, ადმინისტრაციის რაოდენობასა და სახელფასო სტრუქტურაზე, სარესტორნო მომსახურების მასშტაბზე, ოთახების სიმრავლეზე, მენეჯმენტის ხარისხზე და სხვა. შესაბამისად დანახარჯების ხვედრითი წილი აქ მატულობს და საშუალოდ 65-70 % შეადგენს.

შესაბამისად ჰოსტელებისა და „საოჯახო ტიპის“ სასტუმროების მომგებიანობის მარჯა 50%-ის ფარგლებში მერყეობს, დანახარჯთა ჯამური მაჩვენებლის გათვალისწინებით. ხოლო საშუალო და დიდი ზომის სასტუმროებში იგი 30-35 %-ს შეადგენს.

ფასები. როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, ამ სფეროში რეალიზაციის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ვებ-გვერდი - www.booking.com. მომხმარებელს ფასების საშუალებით საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს. ჰოსტელების შემთხვევაში ერთი ოთახის ფასი 30-დან 80 ლარამდე მერყეობს, საშუალო ტიპის სასტუმროებში 80-დან 150 ლარამდე, ხოლო მსხვილ სასტუმროებში 150-დან 240 ლარამდე აღწევს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჰოსტელებისა და საოჯახო სასტუმროების შემთხვევაში მომხმარებელთან კომუნიკაციისას ფასები მაღალი მოქნილობით ხასიათდება.

ინვესტიციები. ზოგადად ინვესტირების არეალი მრავალფეროვანია სასტუმრო მომსახურების ბიზნესში, დამოკიდებულია ბევრ შერჩევით ფაქტორზე, როგორებიცაა დიზაინის სტრუქტურა, არსებული ფართის მოცულობა, რესტავრაციის სირთულე, ადგილმდებარეობა, მისაღები სივრცის არეალი, მომსახურების დონე, კვებითი მომსახურება, აუცილებელი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა და სხვა.

თუმცა ჩადრმავებული ინტერვიუების რესპონდენტების მოსაზრებით აუცილებელი მინიმალური ინვესტირების მოცულობა ზემოთაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სასტუმრო მომსახურების ბიზნესში შემდეგია:

ჰოსტელებისა და საოჯახო სასტუმროების მოსაწყობად აუცილებელია 50-დან 100 ათას ლარამდე ინვესტიციის განხორციელება, მსხვილი სასტუმროს (30 ნომერი და მეტი) მშენებლობა 2 მლნ. ლარიდან 5 მლნ. ლარამდე მერყეობს.

საინტერესოა აღნიშნული ინვესტირების უკუგების საკითხი. ჰოსტელებისა და საოჯახო სასტუმროების შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ სეზონურად დატვირთვას თვეში მინიმუმ 15 დღის გათვალისწინებით, მაშინ ინვესტირების უკუგებას დასჭირდება არანაკლებ 2 წელი. საშუალო და მსხვილი სასტუმროების შემთხვევაში ინვესტირების უკუგება განხორციელდება 4-10 წლის განმავლობაში.

სახელმწიფო მხარდაჭერი პროგრამები: „აწარმოე საქართველოში“, „უმასპინძლე საქართველოში“ პროგრამები მნიშვნელოვნად ეხმარება ამ სექტორში ბიზნესის შექმნის პროცესსაც და ასევე უზრუნველყოფს ბიზნესის გაფართოებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობას. საბანკო დაწესებულებიდან კრედიტის მიღების შემთხვევაში 2 წლის მანძილზე ფაქტიურად პროცენტს არ იხდის ბიზნესი. ასევე ბანკებსაც სტარტაპების მიმართ გააჩნია განსაკუთრებული წახალისების მექანიზმები, შესაბამისად მაღალი რისკის მიუხედავად, საწყისი რესურსის მოზიდვის კუთხით მხარდაჭერა არსებობს. კრედიტის ძირითად სექტორს წარმოადგენს მშენებლობა, ავეჯი და ინვენტარი.


რესტორნების მომსახურება

რესტორნებისა და კაფეების მომსახურების ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის და მისი შემოგარენის ეკონომიკაში. აღნიშნულს განაპირობებს სამი ძირითადი ფაქტორი:

1. ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნება და ორიგინალურობა;
2. ადგილობრივი საზოგადოების მაღალი მოთხოვნილება რესტორნების და კაფეების სერვისზე, სტუმართ-მასპინძლობის მაღალი სურვილი;
3. უცხოელი ტურისტებისა და ვიზიტორების მაღალი დაინტერესება ქართული გასტრონომიის მიმართ.

მომხმარებლების დინამიკაც ამ ფაქტორებზე დაყრდნობით შესაბამისად ნაწილდება, რესტორნებში ძირითადად ქალაქის და მისი შემოგარენის მოსახლეობა და მათი სტუმრები გვევლინებიან მომხმარებლებად, ამიტომ რესტორნების სერვისიც ერთობლივ, ხალხის სიმრავლეზე გათვლილი მომსახურებით ისაზღვრება მნიშვნელოვნად. აქ ტურისტთა და ვიზიტორთა, როგორც მომხმარებლების წვლილი ძალზედ მცირეა. საპირისპირო სურათია კაფეების შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქში ტურისტთა/ვიზიტორთა მოძრაობის არეალი ქალაქის ცენტრალური ნაწილია, სადაც განლაგებულია კაფეების უდიდესი ნაწილი, მომხმარებლების ხვედრითი წილი (60% და მეტი) სწორედ ტურისტებსა და ვიზიტორებზე მოდის.

ტურისტთა/ვიზიტორთა ნაკადისა და შიდა ტურისტული მიგრაციის გათვალისწინებით, ყველაზე დატვირთულ სეზონად ზაფხული მიიჩნევა. ამას ადასტურებს ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები. ამავდროულად გაზაფხულზეც ნორმალური მაჩვენებელი ფიქსირდება და შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ აქტიური სეზონი კაფეების ბიზნესისათვის გაზაფხულისა და ზაფხულის პერიოდია - ჯამური ხვედრითი წილი 63%.



თუმცა, ზოგადად სტრუქტურა შედარებით თანაბარია, რასაც რესტორნების წლის მანძილზე თანაბარზომიერი დატვირთვა უზრუნველყოფს.

რესტორნების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს ერთგვარი სინთეზური მოთხოვნის არსებობა, კერძოდ კვების ასორტიმენტის, ხარისხის (ნატურალური) მაღალი სტანდარტისა და ობიექტის ინტერიერის, ჰიგიენურ-სანიტარული მდგომარეობის სრულყოფისა.

კაფეების მხრივ, ხარისხიანი პროდუქტისა და მომსახურების ერთობლიობა არის წამყვანი ფაქტორი. თუმცა ადგილმდებარეობის კომპონენტს ძალიან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

დასაქმების სტრუქტურა. რესტორნებში ძირითადად, ფართისა და მაგიდების გათვალისწინებით დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 50 თანამშრომლამდე, რომელთა უმრავლესობა მომსახურე პერსონალია (მიმტანები, მზარეულები, დამლაგებლები). ადმინისტრაციულ ნაწილში გვხვდება დირექტორი, ადმინისტრატორი, ბუღალტერი. ყურადსაღებია შრომით ბაზარზე კვალიფიციური კადრის სიმცირე. კაფეების მომსახურების მხრივ დასაქმებულთა რაოდენობა ხშირად უმეტეს შემთხვევაში მერყეობს 5-დან 10 კაცამდე.

შემოსავლები. კაფეებში მისაღები შემოსავლები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია უცხოელ ტურისტთა და ვიზიტორთა ნაკადზე და საანგარიშო წლის მანძილზე ზოგადად სეზონურ დატვირთვაზე. ამ პერიოდის გათვალისწინებით კაფეებში მინიმალური შემოსავლების ბრუნვა წელიწადში 350-500 ათას ლარს შეადგენს.

საშუალო ზომის რესტორნების შემთხვევაში, რომლებიც სეზონურობაზე ნაკლებად დამოკიდებულნი არიან, მინიმალური შემოსავლების ბრუნვა წელიწადში 1-1,2 მლნ. ლარამდე მერყეობს, ხოლო დიდი ზომის რესტორნებში -3-3,5 მლნ. ლარამდე.

ამ კომპონენტში არსებობს საკანონმდებლო რეგულაციის შემოღების პრობლემა, კერძოდ იმის გათვალისწინებით, რომ სურსათის შექმნა ხორციელდება საოჯახო მეურნეობებისა და ინდივიდუალური მოვაჭრეებისაგან, ისინი უმეტეს შემთხვევაში ვერ იძლევიან ხარჯის გაწევის დამადასტურებელ დოკუმენტებს, შესაბამისად სრულად ვერ ხორციელდება ბრუნვების ასახვა, რაც გარკვეულ ცდომილებას იწვევს საფინანსო მონაცემებში.

დანახარჯების სტრუქტურა და მომგებიანობა, ფასები. კაფეების მიმდინარე დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი, ამ ბიზნესის პერსპექტივის მნიშვნელოვანი გარანტია და საგადასახადო დაბეგვრის გათვალისწინებით 55-60%-ს არ აჭარბებს. რესტორნების შემთხვევაში სტრუქტურა უფრო კომპლექსურია და 70%-ის ფარგლებში მერყეობს. შესაბამისად, კაფეების მომგებიანობის მარჟა 40-45%-ის

ფარგლებში მერყეობს, ხოლო საშუალო და დიდი ზომის რესტორნებში ის 30-35 %-ს შეადგენს.

მომხმარებელს ფასების საშუალებით საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს. კაფეების შემთხვევაში ფასები ზოგადად მაღალია, რესტორნებში მაღალი კონკურენტული პროცესების გათვალისწინებით, ხშირად დისკონტირება ხორციელდება მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციისას.

ინვესტიციები. სარესტორნო მომსახურების ბიზნესის წამოწყებისათვის აუცილებელი ინვესტიციის მოცულობის დიაპაზონი საკმაოდ დიდია და დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორებიცაა დიზაინის სტრუქტურა, არსებული ფართის მოცულობა/ახალი შენობის მშენებლობა, რესტავრაციის სირთულე, ადგილმდებარეობა, მისაღები სივრცის არეალი, მომსახურების დონე, შესათავაზებელი მენიუს სპექტრი და სხვა. თუმცა ინტერვიუების რესპონდენტების მოსაზრებების გათვალისწინებით აუცილებელი მინიმალური ინვესტირების სტრუქტურა ზემოთაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით სარესტორნო მომსახურების ბიზნესში შემდეგია:

კაფის მოსაწყობად აუცილებელია 200-300 ათას ლარამდე ინვესტიცია, მსხვილი რესტორნისათვის - 1 მლნ. ლარიდან 4 მლნ. ლარამდე.

საინტერესოა აღნიშნული ინვესტირების უკუგების საკითხი. კაფეების შემთხვევაში მაღალი მომგებიანობის მარჟის გათვალისწინებით, ინვესტიციის უკუგებას დასჭირდება არანაკლებ 5-7 წელი. საშუალო და მსხვილი რესტორნების შემთხვევაში ინვესტირების უკუგების პერიოდია 7-10 წელი.


დარგის SWOT-ანალიზი

S – ძლიერი მხარეები	W – სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> ქალაქის 3500-წლიანი ისტორია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკონომიკური სტიმულირების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები აეროპორტის სიახლოვე და იაფი ფრენები მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ძეგლები იაფი მუშახელი საქართველოს პარლამენტისა და სამთავრობო სტრუქტურების რეგიონული წარმომადგენლობების არსებობა ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა მაღალი რენტაბელურობა 	<ul style="list-style-type: none"> ქუთაისის და მისი შემოგარენის არათანაბარი ურბანული განვითარება კვალიფიციური შრომითი რესურსების ნაკლებობა დაბალი სოციალური ფონი დიდი ჯგუფების მიღების პრობლემა სასტუმრო მომსახურების მხრივ უმუშევრობის მაღალი დონე ორგანიზებული ტურისტული მარშუტების არასაკმარისი რაოდენობა, ხარისხიანი სერვისის ნაკლებობა მაღალი რანგის სასტუმროების შემოსასვლელად შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მოთხოვნა ქალაქის დაბალი ცნობადობა

<ul style="list-style-type: none"> ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნება და მაღალი დაინტერესება ქართული გასტრონომიის მიმართ საზოგადოების მაღალი (მენტალური) მოთხოვნილება რესტორნების და კაფეების სერვისზე ცხოვრების სიიაფე 	<ul style="list-style-type: none"> მოთხოვნის სეზონურობა წლის სხვადასხვა პერიოდებში მოსახლეობის სიმცირე მომსახურებაზე მოთხოვნის შესავსებად საკანონმდებლო რეგულაციების არქონა საზ.კვების პირველადი სურსათის შექმნისას
O – შესაძლებლობები	T – საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> ტრანზიტული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა სხვადასხვა სფეროში „რეგიონული ცენტრის“ ფუნქციის დამკვიდრების შესაძლებლობა სასტუმრო ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივა ქალაქის ურბანული განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება შიდა ტურიზმის განვითარება ტურიზმის თანამედროვე მიმართულებების განვითარება (ექსტრემალური, აგრო, საგანმანათლებლო, სამედიცინო, რელიგიური, აღმოჩენითი და ა.შ.) ღამის ეკონომიკის შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> შიდა ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური არასტაბილურობა ქვეყნის საზღვრებს გარეთ პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხი, კონფლიქტურ ზონებში სიტუაციის გამწვავება ქალაქში მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად დადებითად იმოქმედებს ქალაქის ეკონომიკაზე, მაგრამ მოკლევადიან პერიოდში (იგულისხმება სამშენებლო სამუშაოები) აფერხებს ვიზიტორების გადაადგილებასა და ტერიტორიაზე ობიექტების დატვირთვას

3.2. ვაჭრობა

2016 წელს, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში 140 მილიონი ლარის დამატებული ღირებულება შეიქმნა, რამაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს შექმნილი დამატებული ღირებულების 19,4% შეადგინა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდამ 17,3% შეადგინა.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 182,4 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს გამოშვებული პროდუქციის 11,1%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, გამოშვებული პროდუქციის ზრდამ 18,6% შეადგინა.

2016 წელს, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორის ბრუნვამ 1308,6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორის 2016 წლის ბრუნვის 45,8%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ბრუნვის ზრდამ 15,3% შეადგინა.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, იმერეთის ვაჭრობის სექტორი ბრუნვით და პროდუქციის გამოშვებით მხოლოდ თბილისს და აჭარის რეგიონს ჩამორჩება, ხოლო დამატებული ღირებულებით თბილისს, აჭარას და სამეგრელო-ზემო სვანეთს.


2016 წელს, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების¹⁵ მოცულობამ 10 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს განხორციელებული ინვესტიციების 9,1%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, განხორციელებული ინვესტიციების ზრდამ 61,3% შეადგინა. 2016 წელს იმერეთში ვაჭრობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით მხოლოდ თბილისს და აჭარის რეგიონს ჩამოუვარდება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹⁵ ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, რაც გულისხმობს საწარმოში საკუთარი ან სხვა სუბიექტებიდან მოზიდულ სახსრებს ან კონებას. მოიცავს როგორც პირდაპირ უცხოურ ასევე შიდა ინვესტიციას.

2016 წელს, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში 11236 ადამიანი იყო დასაქმებული, აღნიშნული იმერეთის კერძო სექტორში დასაქმებულთა 22,7%-ს შეადგენდა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, აღნიშნულ სექტორში დასაქმება 8,7%-ით გაიზარდა. ვაჭრობის კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობით იმერეთი მხოლოდ თბილისს და აჭარას ჩამორჩება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში არსებული საშუალოთვიური ხელფასი 393,5 ლარს შეადგენდა, რაც 50,2%-ით ნაკლებია 2016 წელს საქართველოში აღნიშნულ სექტორში არსებულ საშუალოთვიურ ხელფასზე. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, იმერეთში, აღნიშნულ სექტორში საშუალოთვიური ხელფასის ზრდამ 10,1% შეადგინა.

იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. ვაჭრობის სექტორში იმერეთში 6374 აქტიური საწარმო ფუნქციონირებს¹⁶, საცალო ვაჭრობა ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა; საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტს ვაჭრობის სექტორის ყველაზე დიდი წილი - 75,2% (4791 საწარმო) უჭირავს.

ცხრილი 11. ვაჭრობის სექტორში მოქმედი საწარმოები


საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 1)	საწარმოთა რაოდენობა
G	ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	6374

¹⁶ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, 2018 წლის ივლისის მონაცემები. აღებულია ის საწარმოები, რომელთა ფაქტობრივი მისამართია იმერეთი.

50	ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობა, მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი	812
51	საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	771
52	საცალო ვაჭრობა ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა; საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	4791

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი, საქმიანობებს NACE rev. 1 კლასიფიკატორის მიხედვით შეესაბამება განყოფილება

იმერეთის ვაჭრობის სექტორში მოქმედი საწარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა. ძველი მეთოდოლოგიით აღნიშნულ სექტორში მსხვილი ზომის 150 საწარმოა, ახალი მეთოდოლოგიით კი არც ერთი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები - საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება¹⁷. იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში, 2012-2017 წლებში შექმნილი საწარმოთა რაოდენობა აღემატება ბაზრიდან გასულ საწარმოთა რაოდენობას¹⁸. ჯამში 2012-2017 წლებში აღნიშნულ სექტორში, იმერეთში, 8908 საწარმო შეიქმნა, რომელთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შემდეგნაირია: 1229 საწარმო სახმელეთო ავტომობილებით და მოტოციკლებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა და მათი რემონტი, 1367 საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით

¹⁷ NACE 2-ის მიხედვით

¹⁸ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორი, საწარმოთა დემოგრაფიის მაჩვენებლები-დაბადება, გარდაცვალება 2012-2017 წლები

ვაჭრობის გარდა, 6312 საცალო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა.

2012-2017 წლებში, იმერეთში, აღნიშნულ სექტორი დატოვა 4576 საწარმომ, ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით მათი განაწილება შემდეგნაირია: 691 საწარმო სახმელეთო ავტომობილებით და მოტოციკლებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა და მათი რემონტი, 697 საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა, 3188 საცალო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა.


ცხრილი 12. საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება იმერეთში ვაჭრობის სექტორის საქმიანობების სახეების მიხედვით 2012-2017 წლები

საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 2)	დემოგრაფიის მაჩვენებლები	2012	2013	2014	2015	2016	2017
G	საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	საწარმოთა დაბადება	1679	1970	1103	2686	783	687
		საწარმოთა გარდაცვალება	138	41	1082	695	1248	1372
45	ავტომობილებით და მოტოციკლებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა და მათი რემონტი	საწარმოთა დაბადება	215	276	96	494	72	76
		საწარმოთა გარდაცვალება	16	3	213	67	208	184
46	საბითუმო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	საწარმოთა დაბადება	274	276	241	257	168	151
		საწარმოთა გარდაცვალება	7	3	127	125	211	224
47	საცალო ვაჭრობა, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა	საწარმოთა დაბადება	1190	1418	766	1935	543	460
		საწარმოთა გარდაცვალება	115	35	742	503	829	964

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქუთაისის ვაჭრობის კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. ქუთაისის ვაჭრობის კერძო სექტორში 2926 საწარმო ფუნქციონირებს: 313 ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობა, მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი, 467 საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა და 2146 საცალო ვაჭრობა ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა; საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

ქუთაისის ვაჭრობის კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების რაოდენობა იმერეთის ვაჭრობის კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების 45.9%-ს შეადგენს. ქუთაისში აღნიშნულ სექტორში მოქმედი საწარმოების უმრავლესობა მცირე ზომისაა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ქვედარგების ანალიზი

განხილულ დარგში, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური კლასიფიკაციით გამოიყოფა შემდეგი ქვედარგები:

- ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობა, მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- საბითუმო ვაჭრობა და ვაჭრობა აგენტების საშუალებით, ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა;
- საცალო ვაჭრობა ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობის გარდა; საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი.

დარგის (სექტორის) ექსპერტების მიერ, ჩაღრმავებული ინტერვიუების პროცესში, განისაზღვრა დარგის ძირითადი და ნაკლებად მნიშვნელოვანი ქვედარგები. მათ შეფასებას საფუძვლად დაედო ქვედარგის ამჟამინდელი მოცულობა და შემდგომი ზრდის/განვითარების პერსპექტივა. მათ მიერ, მეტად მნიშვნელოვნად შეფასდა საბითუმო და საცალო ვაჭრობის მიმართულებები, ასევე ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის მიმართულებები.

საბითუმო სავაჭრო სივრცეები რეგიონში ძირითადად კონცენტრირებულია ქუთაისის ტერიტორიაზე, საიდანაც პროდუქციით მარაგდება არა მხოლოდ იმერეთის რეგიონი, არამედ მეზობელი რეგიონების ნაწილიც, მაგალითად სამეგრელოს რეგიონის ცალკეული ტერიტორიული ერთეულები - აბაშა, სენაკი და ა.შ. ასევე, რაჭის რეგიონის ნაწილი. პროდუქციის მიწოდება ძირითადად ხდება

საავტომობილო ტრანსპორტის საშუალებით, ამიტომ გამართული საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია აღნიშნული ქვედაგის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც უპირველესად გულისხმობს სადისტრიბუციო არეალის გაფართოებას. გამართული საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში პროდუქციის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება უფრო მოკლე დროში და ნაკლები დანახარჯებით იქნება შესაძლებელი.

საცალო ვაჭრობის ობიექტები მიუხედავად იმისა, რომ განლაგებულია მთელი რეგიონის მასშტაბით, მათი მაღალი კონცენტრაცია, მ.შ. შედარებით მსხვილი ობიექტების სიმრავლე შეინიშნება ქუთაისის ტერიტორიაზე. კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ რეგიონის მოსახლეობა მიდრეკილია ძირითად სავაჭრო ადგილად ქუთაისის გამოყენებისაკენ, რაც სათავეს საუკუნეების წინ იღებს, ამის მთავარ მიზეზად კი ქუთაისის ხელსაყრელი მდებარეობა შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან, რეგიონის მოსახლეობა ქუთაისთან დაკავშირებას უმეტეს შემთხვევაში საავტომობილო ტრანსპორტით ახდენს, შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს სატრანსპორტო კომუნიკაციების გამათულობას და მოხერხებულობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტურისტულ სეზონზე უცხოელთა შემოდინების ზღვის მიუხედავად, ისინი ქუთაისში არ კავდებიან „შოპინგით“ და მხოლოდ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეძენით შემოიფარგლებიან, როგორცაა ჩურჩხელა, თაფლი, სანელებლები და ა.შ. ამის მთავარი მიზეზი არის დიდი ზომის და ბრენდული სავაჭრო ცენტრების არ არსებობა/ნაკლებობა, სადაც იქნება შესაძლებელი მსოფლიოში ცნობილი მწარმოებლების და ასევე ადგილობრივი წარმოების პროდუქცია, მათ შორის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. რეგიონში „შოპინგის“ შესაძლებლობების ნაკლებობას ასევე განიცდის ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილიც, კერძოდ საშუალო და მაღალშემოსავლიანი მოქალაქეები, რომელთა უმრავლესობა ტანსაცმლისა და საოჯახო ნივთების შესაძენად პერიოდულად დედაქალაქში ან/და ქვეყნის გარეთ - მიემგზავრება.

ქვედარგი - ავტომობილებით და მოტოციკლებით ვაჭრობა, მათი ტექნიკური მომსახურება და რემონტი რეგიონში ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახით. ამ მიმართულებით რეგიონში ოპერირებს ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ბიზნეს ოპერატორი - „თეგეტა მოტორსი“, გვხდება ასევე შედარებით მცირე ზომის სერვისის მიმწოდებელი კომპანიები და უამრავი ფიზიკური პირი, რომლებიც შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის მიღების მიზნით ინდივიდუალურად ახდენენ სერვისის გაწევას. აღნიშნული სერვისი ძირითადად კონცენტრირებულია ქუთაისის ტერიტორიაზე და მისით სარგებლობს არა

მხოლოდ იმერეთის რეგიონის, არამედ მომიჯნავე მუნიციპალიტეტების მოსახლეობაც. ამასთან, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მომსახურების ფასები მნიშვნელოვნად მაღალია სერვისის მიმწოდებელ მსხვილ კომპანიებთან. მომსახურების ფასებში, ეს განსხვავება როგორც წესი, არანაკლებ 30-40%-ს, ხოლო ზოგჯერ 80-100%-საც შეადგენს. შესაბამისად, სერვისის მიმღები ფიზიკური პირები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია მომსახურების ფასი გადაწყვეტილებას სწორედ ინდივიდუალური ხელოსნების სასარგებლოდ იღებენ.

მოგების მარჟა. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საცალო ვაჭრობაში მოგების მარჟა საკმაოდ მაღალია და ასევე ფართო დიაპაზონით გამოირჩევა, კერძოდ არის ცალკეული სფეროები, სადაც მისი ოდენობა საბითუმო შესყიდვის ფასის 100%-საც კი შეადგენს, თუმცა მინიმალური მაჩვენებელი 30%-დან იწყება.

საბითუმო ვაჭრობაში მოგების მინიმალური მარჟა 10%-ს შეადგენს და 25-30%-მდე მერყეობს.


ავტოტექნომსახურების სფეროში მოგების მარჟა მსხვილი სერვის მიმწოდებლებისათვის ხარჯების 30-50%-ს შეადგენს, ინდივიდუალური ხელოსნებისათვის კი ის კიდევ უფრო მაღალია.

დარგის SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სავაჭრო ცენტრის - ქუთაისის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვნება • კვალიფიციური მუშახელი საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებისათვის • მუშახელის სიახვე • სავაჭრო სივრცეების შექმნისათვის სათანადო ფართების არსებობა რეგიონში 	<ul style="list-style-type: none"> • ცალკეულ შემთხვევაში სავაჭრო ცენტრებთან სატრანსპორტო კომუნიკაციების მოუწესრიგებლობა • მოუწესრიგებელი სავაჭრო სივრცეები • ტურისტებისათვის მოუხერხებელი სავაჭრო ობიექტები • უცხო ენების მცოდნე პერსონალის ნაკლებობა
O - შესაძლებლობები	T - საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ბრენდული სავაჭრო ცენტრების მოზიდვა რეგიონში • სავაჭრო ცენტრებთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო სისტემების გამართული ფუნქციონირება • პერსონალის ენობრივი კომპეტენციების გაზრდა ვაჭრობის სფეროში • ახალი სავაჭრო სივრცეების შექმნა რეგიონში ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მიმდებარედ 	<ul style="list-style-type: none"> • ტურისტთა ნაკადების შემცირება • მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის გაუარესება • არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ქვეყნის შიგნით და გარეთ

3.3. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა¹⁹

2016 წელს, იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორში 24,7 მილიონი ლარის დამატებული ღირებულება შეიქმნა, რამაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს შექმნილი დამატებული ღირებულების 3,4% შეადგინა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდამ 15,4% შეადგინა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 46,1 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს გამოშვებული პროდუქციის 2,8%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, გამოშვებული პროდუქციის ზრდამ 8,5% შეადგინა.


2016 წელს, იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორის ბრუნვამ 49,3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორის 2016 წლის ბრუნვის 1,7%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ბრუნვის ზრდამ 0,6% შეადგინა.

2016 წელს, იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების²⁰ მოცულობამ 2,5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც

¹⁹ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ 006 - 2016) შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის სახეებში (რედაქცია 2) აღნიშნული დარგის/სექტორის სახელი ფორმულირებულია შემდეგი სახით: სექცია H - ტრანსპორტი და დასაწყობება.


²⁰ ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, რაც გულისხმობს საწარმოში საკუთარი ან სხვა სუბიექტიდან მოზიდულ სახსრებს ან ქონებას. მოიცავს როგორც პირდაპირ უცხოურ ასევე შიდა ინვესტიციას.

იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს განხორციელებული ინვესტიციების 2,3%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, განხორციელებული ინვესტიციების ზრდამ 177,8% შეადგინა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორში 2018 ადამიანი იყო დასაქმებული და აღნიშნული იმერეთის კერძო სექტორში დასაქმებულთა 4,1%-ს შეადგენდა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, აღნიშნულ სექტორში დასაქმება მხოლოდ 0,9%-ით გაიზარდა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის სასტუმროების და რესტორნების კერძო სექტორში არსებული საშუალოთვიური ხელფასი 438,7 ლარს შეადგენდა, რაც 63,5%-ით ნაკლებია 2016 წელს საქართველოში აღნიშნულ სექტორში არსებულ საშუალოთვიურ ხელფასზე. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, იმერეთში, აღნიშნულ სექტორში საშუალო თვიური ხელფასის ზრდამ მხოლოდ 2.4% შეადგინა.

იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში იმერეთში 688 აქტიური საწარმო ფუნქციონირებს²¹, სახმელეთო ტრანსპორტს ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორის ყველაზე დიდი წილი - 84.7% (583 საწარმო) უჭირავს.


ცხრილი 13. დარგის (სექტორის) სრტუქტურა

საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 1)	საწარმოთა რაოდენობა
I	ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	688
60	სახმელეთო ტრანსპორტი	583
61	წყლის ტრანსპორტი	17
62	საჰაერო ტრანსპორტი	1
63	დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	50
64	კავშირგაბმულობა	37

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი, საქმიანობებს NACE rev. 1 კლასიფიკატორის მიხედვით შეესაბამება განყოფილება

იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში მოქმედი საწარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა. ძველი მეთოდოლოგიით აღნიშნულ სექტორში მხოლოდ ხუთი საწარმოა მსხვილი ზომის, ახალი მეთოდოლოგიით კი არც ერთი.

²¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, 2018 წლის ივლისი მონაცემები. აღებულია ის საწარმოები, რომელთა ფაქტობრივი მისამართია იმერეთი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები - საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება²². იმერეთის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორში, 2012-2017 წლებში შექმნილი საწარმოთა რაოდენობა აღემატება ბაზრიდან გასულ საწარმოთა რაოდენობას²³. ჯამში 2012-2017 წლებში აღნიშნულ სექტორში, იმერეთში, 1335 საწარმო შეიქმნა, რომელთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შემდეგნაირია: 1221 საწარმო სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით, 111 დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები, 3 საფოსტო და საკურიერო საქმიანობები.

2012-2017 წლებში, იმერეთში, აღნიშნულ სექტორი დატოვა 586-მა საწარმომ, ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით მათი განაწილება შემდეგნაირია: 540 საწარმო სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით, 1 საჰაერო ტრანსპორტი, 43 დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები, 2 საფოსტო და საკურიერო საქმიანობები.

ყველაზე მეტად საწარმოთა დაბადება 2015 წელს გაიზარდა - 460%-ით. ბოლო წლებში 2016-2017 საწარმოთა დაბადების ზრდის ტემპი კლებადია.

ცხრილი 14. საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება იმერეთში ტრანსპორტის და დასაწყობების სექტორის საქმიანობების სახეების მიხედვით 2012-2017 წლები

საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 2)	დემოგრაფიის მაჩვენებლები	2012	2013	2014	2015	2016	2017

²² NACE 2-ის მიხედვით


²³ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორი, საწარმოთა დემოგრაფიის მაჩვენებლები-დაბადება, გარდაცვალება 2012-2017 წლები

H	ტრანსპორტი და დასაწყობება	საწარმოთა დაბადება	244	186	100	560	135	110
		საწარმოთა გარდაცვალება	30	3	173	86	152	142
49	სახმელეთო ტრანსპორტი და ტრანსპორტირება მილსადენებით	საწარმოთა დაბადება	227	169	83	513	128	101
		საწარმოთა გარდაცვალება	29	2	164	79	140	126
51	საჰაერო ტრანსპორტი	საწარმოთა დაბადება	0	0	0	0	0	0
		საწარმოთა გარდაცვალება	0	0	1	0	0	0
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები	საწარმოთა დაბადება	16	17	17	46	7	8
		საწარმოთა გარდაცვალება	1	1	8	6	12	15
53	საფოსტო და საკურიერო საქმიანობები	საწარმოთა დაბადება	1	0	0	1	0	1
		საწარმოთა გარდაცვალება	0	0	0	1	0	1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქუთაისის ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. ქუთაისის ტრანსპორტის და დასაწყობების კერძო სექტორში 268 საწარმო ფუნქციონირებს: 218 სახმელეთო ტრანსპორტი, 1 საჰაერო ტრანსპორტი, 30 დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა, 16 კავშირგაბმულობის საქმიანობები.

ქუთაისის ტრანსპორტის და დასაწყობების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების რაოდენობა იმერეთის ტრანსპორტის და დასაწყობების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების 39%-ს შეადგენს. ქუთაისში აღნიშნულ სექტორში მოქმედი საწარმოების უმრავლესობა მცირე ზომისაა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ქვედარგების ანალიზი

გამოკითხვისას, ექსპერტთა მიერ აღნიშნულ დარგში პერსპექტიულ ქვედარგებად რეგიონისათვის აღიარებული იქნა საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი, ასევე პერსპექტიულად იქნა მიჩნეული რეგიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ჰაბის ჩამოყალიბება ქუთაისის მიმდებარედ.

რეგიონში საჰაერო ტრანსპორტი შემოიფარგლება დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტით, რომლის დატვირთვა სწრაფი ტემპით იზრდება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 27.81%-ით გაიზარდა. სულ გადაყვანილ იქნა 234 774 მგზავრი - 51 091 მგზავრით მეტი ვიდრე 2017 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში²⁴;

საჰაერო ტრანსპორტი. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტით სარგებლობს არა მხოლოდ იმერეთის და დასავლეთ საქართველოს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც, რისი მთავარი მიზეზი ბილეთების დაბალი ფასია. ქუთაისის აეროპორტი არის ერთადერთი საერთაშორისო აეროპორტი ქვეყანაში,

²⁴ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://gcaa.ge/geo/news.php?id=6396>

რომელიც იმყოფება სახელმწიფოს მართვაში, რაც აძლევს შესაძლებლობას მმართველ ორგანოს - საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას მოქნილი პირობების შეთავაზებით მოიზიდოს ავიაკომპანიები, რომლებიც ფოკუსირებული იქნებიან არსებულ მომხმარებელთა შესაძლებლობებზე.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი მდებარეობს ქალაქ ქუთაისიდან დასავლეთით 18 კილომეტრის მანძილზე. მისი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი 2,600 მეტრს შეადგენს და აეროპორტს საშუალოდ საათში 600 მგზავრის მომსახურება შეუძლია. რაც სრულად აკმაყოფილებს მიმდინარე მოთხოვნებს, თუმცა მომავალში დაგეგმილია მისი შემდგომი გაფართოება, მათ შორის სატვირთო ტერმინალის დამატება. ამჟამად აეროპორტიდან პირდაპირი ფრენები ხორციელდება ევროპის არაერთ დედაქალაქში, მ.შ.: რომში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ვარშავაში, ბუდაპეშტში, ვილნიუსში, რიგაში, ათენში, მსხვილ ქალაქებში: მილანში, ბარსელონაში, დორტმუნდში და ა.შ.

დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი ერთ-ერთია საქართველოს სამ საერთაშორისო აეროპორტს შორის და ადგილმდებარეობის გამო საკვანძო მნიშვნელობა აქვს რეგიონისათვის.

გარდა საერთაშორისო ავია რეისებისა, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტიდან, ტურისტულ სეზონზე ასევე სრულდება შიდა ავია რეისები, კერძოდ ნატახტარის, რაჭის და მესტიის მიმართულებით, თითოეული კვირაში ორჯერ.

საავტომობილო ტრანსპორტი - სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები. ქუთაისი ავტობუსით/მიკრო ავტობუსით დაკავშირებულია საქართველოს თითქმის ყველა რაიონულ ცენტრთან. თუმცა საავტომობილო პარკის დიდი ნაწილი მოძველებულია, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და მათი მომსახურების ხარისხი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე უცხოელ ტურისტებში.

საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაზიდვებში მომსახურების და უსაფრთხოების დაბალი ხარისხის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ექსპერტები სფეროს სახელმწიფო რეგულაციის სისტემის არ არსებობას მიიჩნევენ. საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაზიდვები ქვეყანაში არ ექვემდებარება სპეციალურ ლიცენზირებას, ან ნებართვის გაცემას, შესაბამისად ვერ ხორციელდება სატრანსპორტო კომპანიების თუ ინდივიდუალური პირების საქმიანობის კონტროლი.

კიდევ ერთი მიმართულება სამგზავრო გადაზიდვებში არის შიდა საქალაქო ტრანსპორტი, რომლებიც როგორც წესი მსხვილ ქალაქებში არსებობს და უმეტეს შემთხვევაში ის იმყოფება მუნიციპალურ საკუთრებაში ან მუნიციპალური

ბიუჯეტის სუბსიდირებაზე. თუმცა ქუთაისი, ერთადერთი მსხვილი ქალაქია ქვეყანაში (განსხვავებით თბილისის, ბათუმისა და რუსთავისაგან), რომელშიც საქალაქო საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის სრულად კერძო საკუთრებაში და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი შემოიფარგლება მხოლოდ გადამზიდავ კომპანიებზე ნებართვების გაცემით. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობის ტარიფები ყველა სხვა მუნიციპალიტეტზე დაბალია, მომსახურების ხარისხიც მისი ადეკვატურია და მგზავრების, როგორც ადგილობრივი ისე უცხოელი ტურისტების უკმაყოფილებასა და გაღიზიანებას იწვევს. არსებული მოძველებული სატრანსპორტო პარკის განახლება კი პირველი ეტაპისათვის მოითხოვს დაახლოებით 20-25 მლნ. ლარის ინვესტიციას, რასაც ასევე ემატება სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის (მგზავრთა მოსაცდელეები, ტაბლოები და ა.შ.) მოწყობის ხარჯები. თუმცა აღნიშნული ინვესტიციის განხორციელება ვერ იქნება ეკონომიკურად გამართლებული არსებული ტარიფების შემთხვევაში. შესაბამისად, საქალაქო ტრანსპორტის განახლებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ტარიფების გაზრდა ან/და ტარიფების სუბსიდირება, როგორც ეს საქართველოს სხვა ქალაქებში ხდება.

იმერეთის რეგიონი წარმოადგენს საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრს, შესაბამისად მასზე გადის ქვეყნის ძირითადი საავტომობილო გზები, რომელთა გაუმჯობესება კიდევ უფრო გაზრდის მომავალში რეგიონის სატრანზიტო პოტენციალს, თუმცა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეგიონს უნდა ქონდეს არა მხოლოდ ტვირთნაკადების უბრალო გამტარის, არამედ თანამედროვე ლოჯისტიკური ცენტრის ფუნქცია, სწორედ მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო.

სარკინიგზო ტრანსპორტი. იმერეთის რეგიონში არსებობს სარკინიგზო ტრანსპორტის რამდენიმე კვანძი, მათ შორის ყველა დიდია სამტრედიისა, ასევე ზესტაფონში. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციური აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით ტვირთნაკადების მოძრაობისათვის მნიშვნელოვანია, თუმცა ამ შემთხვევაშიც ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია სარკინიგზო ტრანსპორტი უფრო ხელსაყრელი შეიძლება გახდეს რეგიონის ბიზნეს სუბიექტებისა და მოქალაქეებისათვის.

სარკინიგზო ტრანსპორტისათვის უფრო მომგებიან მიმართულებად ითვლება სატვირთო გადაზიდვები, ვიდრე სამგზავრო, განსაკუთრებით საქართველოს ზომის ქვეყნისათვის. თუმცა, ეს უკანასკნელი არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან, ნებისმიერ ქვეყანაში, მას ფართოდ იყენებენ ტურისტები, რომელთა ნაკადი ქვეყანაში სწრაფად მზარდია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარკინიგზო ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით დაბალია ქუთაისში, სადაც მართალია, მატარებლის ლიანდაგი შემოდის და ასევე 2 სარკინიგზო სადგური

(„რიონი“ და „ბროწეულა“) შორს არ არის ქალაქიდან, მაგრამ ამ სადგურების საშუალებით მგზავრთა უდიდესი ნაწილისათვის მგზავრობა მაინც მოუხერხებელია, ვინაიდან ისინი საქალაქო ტრანსპორტით არ უკავშირდებიან ქალაქს.

ლოჯისტიკური კომპლექსის შექმნის პერსექტივის შეფასება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ იმერეთის რეგიონის არსებული სატრანსპორტო პოტენციალი, როგორც საჰაერო, ისე საავტომობილო და სარკინიგზო გადაზიდვების მიმართულებით და მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა კარგ საფუძველს ქმნის რეგიონში თანამედროვე ლოჯისტიკური კომპლექსის შექმნისათვის. საერთო მოსაზრებით, ამისათვის საუკეთესო ადგილი იქნება ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, სადაც თავს იყრის ასევე ცენტრალური სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალეზი. აღნიშნული იდეის განხორციელების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე მიმდინარე წლის დასაწყისში უკვე გამოაცხადა წინადადებების მიღება ინტერესთა გამოხატვაზე. თუმცა ქუთაისის უნივერსიტეტის ექსპერტების დასაბუთებული მოსაზრებით შესაძლებელია სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული პროექტის მოდიფიცირება და შევსება, მისი სრულყოფისა და მასშტაბურობის გაზრდის მიზნით.

დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის მიერ განისაზღვრა, რამდენიმე ძირითადი ამოცანა, კერძოდ:

- ქუთაისში თანამედროვე და მაღალი დონის ლოჯისტიკური ცენტრის, როგორც ლოჯისტიკური კლასტერის სამომავლო განვითარება;
- აღნიშნული ლოჯისტიკური ცენტრის შესაძლებლობა, შეასრულოს ლოჯისტიკური ჰაბის ფუნქცია როგორც დასავლეთ საქართველოსთვის ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ლოჯისტიკური კომპანიების, ასევე ლოჯისტიკასთან მკვეთრად დაკავშირებული ვაჭრობისა და წარმოების განვითარება დაგეგმილი ორი ეტაპის შესაბამისად;
- ინვესტორების, ოპერატორებისა და საფინანსო კომპანიების მოზიდვა;
- ქვეყნის შემდგომი რეგიონული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გაძლიერება და მხარდაჭერა.²⁵

²⁵ იხ. <http://www.economy.ge/?page=economy&s=98&lang=ge>

სასურველი კორექტივები წარმოდგენილ პროექტში. დასმული ამოცანების საუკეთესო გადაწყვეტისათვის, ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნება, პროექტი გახდეს უფრო მრავალმხრივი და კომპლექსური, მეტად ოპტიმალურად განლაგდეს სხვადასხვა სივრცეები ცენტრის ტერიტორიაზე და უზრუნველყოფილი იქნეს ცენტრის მჭირდო კავშირი ქალაქ ქუთაისთან, რაც ორმხრივად სასარგებლო იქნება როგორც ქალაქის ისე თავად ცენტრის განვითარებისათვის, კერძოდ:

1. ლოჯისტიკური ცენტრის პარალელურად იმავე ტერიტორიაზე (ფართობის გაზრდის პირობებში) დამატებით განთავსდეს ღია სივრცეები ისეთი მრავალფეროვანი საქონლის გამოფენა-გაყიდვისათვის, როგორცაა ავტომობილები, სამშენებლო და მანქანათმშენებლობის პროდუქცია. სავარაუდო საჭირო ტერიტორია ლოჯისტიკური კომპლექსისათვის უნდა იყოს 100 ჰა, მათ შორის: უშუალოდ ლოჯისტიკური ცენტრისთვის დაახლოებით 50 ჰა, სავაჭრო სივრცისათვის - 30 ჰა, დამხმარე ინფრასტრუქტურისათვის (სადგური, ავტოსადგომი, სტრაფი კვების ობიექტები და.შ.) - 20 ჰა.

2. სამგზავრო გადაზიდვებისათვის რკინიგზის სადგური განთავსდეს ქუთაისი-სამტრედიის ცენტრალური ავტომაგისტრალის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ხოლო მგზავრთა ნაკადის გადაადგილება აეროპორტსა და რკინიგზის სადგურს შორის (სავარაუდო მანძილი 300 მ.) უზრუნველყოფილი იქნეს მიწისქვეშა ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით (იხილეთ დანართი №1). საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი სქემის შესაბამისად სამგზავო მატარებელი უნდა მოხვდეს უშუალოდ აეროპორტის წინ, ქუთაისი-სამტრედიის ავტომაგისტრალის სამხრეთ-დასავლეთით, რაც არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან არსებული ტერიტორია უკვე გამოყენებულია ავტოსადგომებად და აეროპორტისათვის აუცილებელი სხვა ინფრასტრუქტურისათვის.

3. საკონტეინერო ტერმინალი ასევე განთავსდეს ლოჯისტიკური ცენტრის მიმდებარედ საავტომობილო გზის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს (იხილეთ დანართი №1) და არა სამხეთ-დასავლეთით, როგორც ეს შემოთავაზებული ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებით არის გათვალისწინებული. ეს ერთის მხრივ არ შეზუდავს აეროპორტის შემდგომი გაფართოვების პერსპექტივას აღმოსავლეთით, ხოლო მეორეს მხრივ, ერთ სივრცეში უფრო კომპაქტურად უზრუნველყოფს სხვადასხვა ბლოკების განთავსებას, მით უმეტეს რომ ტერიტორიის ფართი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა. აეროპორტსა და რკინიგზას შორის ტვირთების ნაკადის მოძრაობა ასევე შესაძლებელია მოხდეს მიწისქვეშა გვირაბის მეშვეობით;

პროექტის განვითარება - საგამოფენო კომპლექსის შექმნა ქუთაისში. საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი პროექტის კომპლექსურობის, მრავალფეროვნების და

საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქუთაისის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების საგამოფენო კომპლექსის შექმნა. ამასთან, ლოჯისტიკური და საგამოფენო ცენტრების ერთიან კომპლექსში განხილვა უფრო მყარ საფუძველს შექმნის იმისათვის, რომ მან შეასრულოს ჰაბის ფუნქცია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონისათვის.

საგამოფენო კომპლექსის ადგილმდებარეობის შერჩევასა გათვალისწინებული იქნა:

1. ქუთაისის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
2. ქუთაისის სამრეწველო პოტენციალი;
3. ქუთაისის ტურისტული მიმზიდველობის ზრდა;
4. თბილისში მოსახლეობის და ბიზნეს ობიექტების ზე-მაღალი კონცენტრაცია დანარჩენ საქართველოსთან შედარებით.

აღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ საგამოფენო ცენტრის განთავსებას ქუთაისში, კერძოდ ყოფილი ქუთაისის აეროპორტის ტერიტორიაზე, რომლის ძირითადი ნაწილიც ამჟამად იმყოფება სახელმწიფო საკუთებაში და მისი ფართი შეადგენს დაახლოებით 60 ჰა-ს²⁶.

დარგის SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • ლიბერალური საგადასახადო სისტემა; • ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივე; • ეკონომიკური სტიმულირების სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები და პროექტები; • განვითარებადი სატრანსპორტო კომუნიკაცია (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი); • მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების არეალში მდებარეობა; • იაფი მუშახელი; 	<ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა; • ფინანსური რესურსების სიძვირე; • ქვეყნის არათანაბარი ურბანული განვითარება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • ბიზნესის პასიურობა; • საზოგადოებრივი ტრანსპორტის ევროსტანდარტებთან შეუსაბამობა.

²⁶ პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ მბულზე: <http://iverioni.com.ge/16456-quthaisi-saerthashoriso-satranzito-satransporto-habi.html>

<ul style="list-style-type: none"> • თავისუფალი ინდუსტრიული ზონები; • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები. 	
O - შესაძლებლობები	T - საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე ლოჯისტიკური კომპლექსების შექმნის შესაძლებლობა; • „აბრეშუმის გზის“ რესურსების გამოყენება; • სხვადასხვა სფეროში „რეგიონული ცენტრის“ ფუნქციის დამკვიდრების შესაძლებლობა; • სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; • გარემოს დაცვის ხარისხის გაუმჯობესება. 	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი; • ქვეყანაში და ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული არასტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

3.4. ტურიზმი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტურიზმი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად მოიაზრება. ამას ადასტურებს ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში დარგის მუდმივი ასახვა და მზაობა მის განვითარებაზე.

საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია ეყრდნობა ტურიზმის მდგრადი განვითარების მსოფლიოში აღიარებულ პრინციპებს და აშკარა უპირატესობას ანიჭებს ბაზრის მოთხოვნის სტიმულირებას. ისეთი მაღალი ტურისტული და საკურორტო პოტენციალის მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, იკვეთება ტურიზმის პრიორიტეტულობის შემდეგი კრიტერიუმები:

- ტურიზმის ექსპორტაბელურობის მაღალი დონე და აქედან გამომდინარე, ქვეყნის შემოსავლების ზრდაში მისი დიდი პოტენციალი;
- მოსახლეობის დასაქმების მასშტაბური შესაძლებლობა;
- რეგიონული ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრების რეზერვების არსებობა (ამის შესაძლებლობას იძლევა ტურისტული პოტენციალის ბუნებრივ-გეოგრაფიული გადანაწილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე);
- ეკონომიკის სხვა დარგების (ტურიზმის მომიჯნავე დარგები) განვითარების სტიმულირება და სხვა.

ლოკალურ დონეზე ტურიზმს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შემდეგ სტრატეგიულ დოკუმენტებში:

- „იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021“;
- ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“;

- იმერეთის მუნიციპალიტეტების განვითარების სტრატეგიები.

ამასთან, ქუთაისის განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთი პროგრამა „ქუთაისი – ტურისტთა ქალაქი“ სწორედ ტურიზმს და მის განვითარებას ეხება. პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- ქუთაისის, როგორც დასავლეთ საქართველოს ტურისტული ჰაბის, ფუნქციის გაძლიერება;
- ტურიზმის წილის გაზრდა ქალაქის ეკონომიკაში;
- ტურიზმის სფეროში მოქმედი ინსტიტუციების საქმიანობის კოორდინაცია;
- ტურიზმისა და ქალაქის მიერ სხვა მიმართულებებით განხორციელებულ აქტივობებს შორის სინერგიის გაზრდა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი ტურისტული ატრაქციების შექმნა;

ქალაქისა და რეგიონის ტურისტული პოტენციალის პრომოუშენი.

საქართველოში ფიქსირდება ტურიზმის ზრდის მაჩვენებელი. ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 2017 წელს 7.5 მილიონს გადააჭარბა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1.2 მილიონით მეტია. აღნიშნული ქმნის 18.8%-იან წლიური ზრდის მაჩვენებელს. 2016 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 6.36% შეადგინა. 2006 და 2016 წლებში ტურიზმის ინდუსტრიაში შექმნილი დამატებითი ღირებულება გაიზარდა 2.3-ჯერ და 2 მლრდ ლარს მიაღწია. 2016 წელს ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში 6.8%-ს შეადგენდა.²⁷ 2017 წელს ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში 6,9%-ს შეადგენდა. 2012-2017 წლებში საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა 4,7 მლნ.-დან 7,9 მლნ.-მდე გაიზარდა. მიმდინარე წლის 8 თვეში კი 5,9 მლნ. ვიზიტი დაფიქსირდა. 2010-2017 წლებში შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 659,2 მლნ. ლარიდან 2704,3 მლნ.ლარამდე, ანუ 4,1-ჯერ გაიზარდა.²⁸

²⁷ საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021. გვ.38.

http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/2018-2021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf

²⁸ <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=22>

ქუთაისის და მისი შემოგარენის ტერიტორია, ისე როგორც მთელი საქართველო, ანტიკური, გვიანი და ადრე ქრისტიანული ხანის ისტორიულ-კულტურული ძეგლებითაა წარმოდგენილი. თითოეული მათგანი ტურისტული ჯგუფებისათვის და სპეციალისტებისათვის ამოუწურავ მარაგს წარმოადგენს. მარტო იმერეთის მხარეში ტურისტული დატვირთვის მქონე 500-ზე მეტი ისტორიული ძეგლია.


ქუთაისი და მისი შემოგარენი მდიდარია კურორტებით და გამაჯანსაღებელი ზონებით. რეგიონის ლამაზი ლანდშაფტი, სამკურნალო მინერალური წყლები ბალნეოლოგიურ კურორტებს მიმზიდველს ხდის დამსვენებელთათვის. ქუთაისს დიდი პერსპექტივა გააჩნია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ქ. ქუთაისი იმერეთის ტურიზმის განვითარების ცენტრადც მოიაზრება. რეგიონში განვითარებულია აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები. ამის საშუალებას იძლევა მთისა და ტყის მასივები, რომელსაც 250,0 ათ. ჰა ფართობი უჭირავს. განვითარებულია ტურიზმის შემდეგი სახეობები: ეკოტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე, სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპალეო ტურიზმი.

ახალი შინაარსი შეიძინა სოფლის ტურიზმმა. ამ ბიზნესით იმერეთში 200-ზე მეტი გლეხური მეურნეობაა დაკავებული. კარგი პერსპექტივები აქვს სამონადირეო ტურიზმს. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ქართული ტრადიციების, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი.

ქუთაისი წარმოადგენს საქართველოს დასავლეთ რაიონების გეოგრაფიულ ცენტრს. მას გარს აკრავს მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტები.

ქალაქი შედარებით ახლოს იმყოფება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ისეთ მნიშვნელოვან საპორტო ქალაქებთან, როგორცაა ფოთი და ბათუმი. ორივე ამ პუნქტთან ქუთაისს აქვს პირდაპირი სარკინიგზო და საავტომობილო კავშირი. მანძილი რკინიგზით ბათუმამდე შეადგენს 139 კმ-ს, ხოლო ფოთამდე 103 კმ-ს. მანძილი საქართველოს დედაქალაქამდე 221 კილომეტრია. უახლოესი აეროპორტი – ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, 20 კმ.

ქალაქი გაშენებულია კავკასიონის მთებიდან მომავალ მდინარე რიონზე (უძველესი სახელი ფაზისი).



ქუთაისს და მის შემოგარენს გეოგრაფიულად ცენტრალური ადგილი უკავია საქართველოში. ის კარგად გამოხატული ბუნებრივი საზღვრებითაა შემოფარგლული. 2017 წლის მონაცემებით, ქუთაისში ცხოვრობს 141,9 ათასი ადამიანი, ხოლო იმერეთის რეგიონში - 510,7 ათასი კაცი. ქალაქის არეალი 65 კვ.კმ-ია, რომლის 2/3 დასახლებულია. ზამთარი უმეტესად თბილი და მშრალია, ზაფხული კი ცხელი. საშუალო წლიური ტემპერატურა არის 14,5 °C-ია. ნალექების რაოდენობა წელიწადში – 1730 მმ. ქალაქის საავტომობილო გზების სიგრძე არის 317 კმ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის შედეგებით, ვიზიტორების მიერ მონახულებული ადგილების მიხედვით ქუთაისისა და მისი შემოგარენის მიმართ განსხვავებული მდგომარეობა ფიქსირდება. კერძოდ, შიდა ტურიზმის მიხედვით რეგიონში 196 ათასი ვიზიტორი დაფიქსირდა, რაც ქვეყნის მასშტაბით საუკეთესოა თბილისის შემდეგ და ქვეყანაში შიდა ვიზიტორთა საერთო რაოდენობის 18,8%-ს შეადგენს. რაც შეეხება უცხოელ ვიზიტორებს, მათი


რაოდენობა საანგარიშო წელს 28,4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც ქვეყნის მაჩვენებლის მხოლოდ 3,6%-ს შეადგენდა.²⁹

ცხრილი 15. ვიზიტორთა განაწილება 2017 წელს რეგიონების მიხედვით (ხვ.წილი, %)

რეგიონი	უცხოელი ვიზიტორები	შიდა ტურიზმი
თბილისი	33.1	24.6
აჭარის ა/რ	20.5	12.8
იმერეთი	3.6	18.8
კახეთი	5.4	7.3
მცხეთა-მთიანეთი	11.7	6.2
სამცხე-ჯავახეთი	7.8	4.7
ქვემო ქართლი	12.9	6.3
სხვა რეგიონები	5.0	19.3

ერთ-ერთი ბოლო კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც 1012 უცხოელი ტურისტი გამოიკითხა, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს ქუთაისსა და მის შემოგარენში ტურიზმის შესახებ.³⁰


დიაგრამა 19. ვიზიტორთა წარმომავლობა



²⁹ სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=1867&lang=geo


³⁰ ქუთაისის უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი „მიმზიდველობიდან ტურისტული შეთავაზებების კონკრეტულ ინტეგრირებულ პაკეტებამდე: ტურიზმის მარკეტინგული გეგმა თვითმმართველი ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენისთვის“. 2016 წ.

დიაგრამა 20. ვიზიტორთა დასაქმების სტრუქტურა



ვიზიტორთაგან სტუდენტების წილი მაღალი იყო ზამთრის პერიოდში 23%, ხოლო დასაქმებულთა წილი მაღალი იყო ივლისი-აგვისტოში (69%), რაც თანამშრომელთა ზაფხულის არდადეგების პოპულარობით გამო არის გამოწვეული. 9% ბიზნესმენთა და დამსაქმებელთა რაოდენობა თანაბრად ნაწილდება წარმოდგენილ ქვეყნებს შორის და რომელიმე ქვეყნის წარმომადგენელი არ ჭარბობს.


დიაგრამა 21. თანმხლები პირები



ტურისტებს შორის მაღალია წილი, რომლებიც მეუღლესთან ან მეგობართან (ბოიფრენდი / გელფრენდი) ერთად მოგზაურობენ ამ ორი ჯგუფის წილი ჯამში 61%-ს შეადგენს.


მეგობრებთან ერთად, ძირითადად, სტუდენტები და 20-35 წლის ტურისტები ჩამოდიან.

დიაგრამა 22. ვიზიტის მიზანი



აბსოლუტური უმრავლესობის (90%) ძირითადი მიზანი გართობა და ღირშესანიშნაობების მონახულება იყო. მხოლოდ 6%-მა მიუთითა მეგობარ-ახლობლების მონახულება, 5%-მა კი შოპინგი.

დიაგრამა 23. ქუთაისში დარჩენის ხანგრძლივობა




ტურისტი ქუთაისში საშუალოდ 2.33 დღე რჩება, რაც ერთი ღამისთვისაა.

ზამთრის პერიოდში ქუთაისში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა 3.8 დღეს შეადგენს (2 ან 3 ღამის გათვლა), ზაფხულში კი 2.03 დღეს, რაც ზაფხულში ტურისტების მთიანი რეგიონებისკენ და ზღვისკენ მიდრეკილებით არის განპირობებული

გამოკითხულთა საქართველოში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობა კი 9 დღეა.


დიაგრამა 24. ძირითადი აქტივობები ვიზიტის დროს




ბუნება, სამზარეულო და ისტორიული ღირშესანიშნაობების ნახვა ქუთაისში და მის შემოგარენში ტურისტთა ძირითადი აქტივობებია.

კულტურა-ფოკლორის, ღამის გართობა და დასვენების ნაკლები წილი ამ სეგმენტების ნაკლებად წარდგინების გამო არის

დიაგრამა 25. უცხოელ ვიზიტორთა მიერ სხვადასხვა სერვისების შეფასება (გამოყენებული იქნა 4 ბალიანი სისტემა, სადაც 1 ქულა ნიშნავს ძალიან ცუდს, 2 ცუდს, 3 კარგი, 4 ძალიან კარგი - შესანიშნავი)



დიაგრამა 26. კვლავ ესტუმრებით თუ არა ქუთაისს უახლოეს წლებში?



66% განმეორებითი ვიზიტის შესაძლებლობა კარგი მაჩვენებელია და ის უჩვენებს ტურისტთა ვიზიტის შემდგომ კარგ განწყობას. მოსალოდნელია, რომ ამ ჯგუფის მხოლოდ მცირე ნაწილი კვლავ ესტუმროს ქალაქს. გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (99%) აღნიშნა, რომ ისინი აუცილებლად გაუწევენ რეკომენდაციას ნაცნობებს და ახლობლებს, რომ ესტუმრონ ქუთაისს და მის შემოგარენს

ქვედარგების ანალიზი

პროექტის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანად დავისახეთ წინასწარ შერჩეულ დარგობრივ ექსპერტებთან ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუების საშუალებით დაგვედგინა ტურიზმისათვის ეკონომიკურად ყველაზე კონკურენტუნარიანი და პერსპექტიული ქვედარგები და აგვეღწერა თითოეული პერსპექტიული მიმართულების ღირებულებათა ჯაჭვი.

ჩვენს მიერ, წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, ჩატარდა სამი ჩაღრმავებული ინტერვიუ დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან.

ტურიზმისათვის ეკონომიკურად ყველაზე კონკურენტუნარიანი და პერსპექტიული ქვედარგები აღმოჩნდა:

- ✓ სოფლად ტურიზმი;
- ✓ სტუმართმასპინძლობის ტურიზმი;
- ✓ ღვინის ტურიზმი.

ქვედარგებთან დაკავშირებით მოვახდინეთ სხვადასხვა სახის ინფორმაციის დაჯგუფება და ანალიზის შედეგების წარმოდგენა:

ცხრილი 16. ქვედარგში საწარმოთა განაწილება ბრუნვისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით

შერჩეული ქვედარგი	დასაქმება (კაცი)			საშუალოწლიური ბრუნვა (ათასი ლარი)		
	მცირე	საშუალო	მსხვილი	მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლად ტურიზმი	5-მდე	6-10	10-ზე მეტი	30-მდე	30-50	50-ზე მეტი
სტუმართმასპინძლობა	5-მდე	6-20	20-ზე მეტი	100-მდე	100-180	600-ზე მეტი
ღვინის ტურიზმი	4-მდე	5-10	100-ზე მეტი	140-მდე	280-2500	2500-ზე მეტი

ცხრილი 17. ქვედარგში საწარმოთა განაწილების სტრუქტურა

შერჩეული ქვედარგი	საწარმოთა განაწილება %-ად		
	მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლად ტურიზმი	70	25	5
სტუმართმასპინძლობა	30	35	35
ღვინის ტურიზმი	70	25	5

ცხრილი 18. ქვედარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა რეგიონში მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებში

შერჩეული ქვედარგი	სულ დასაქმებულია	დასაქმებულთა რიცხოვნობა		
		მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლად ტურიზმი	6000	4600	1000	400
სტუმართმასპინძლობა	3500	700	1000	1800
ღვინის ტურიზმი	185	120	15	50

ცხრილი 19. ბრუნვის მოცულობა რეგიონში ქვედარგების და საწარმოთა ზომის მიხედვით

შერჩეული ქვედარგი	საშუალოწლიური ბრუნვა (მლნ.ლარი)	საშუალოწლიური ბრუნვა (მლნ. ლარი)		
		მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლად ტურიზმი	3	0.8	1.2	1
სტუმართმასპინძლობა	25	3	7	15
ღვინის ტურიზმი	9,7	5,6	1,4	2,7

ცხრილი 20. ქვედარგში ძირითადი საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯების მოცულობა

შერჩეული ქვედარგი	ხარჯები (მლნ. ლარი)		
	საწარმო	არასაწარმო	სულ
სოფლად ტურიზმი	2,0	0,2	2,2
სტუმართმასპინძლობა	18,0	1,0	19,0
ღვინის ტურიზმი	6,3	0,5	6,8

ცხრილი 21. ქვედარგის წლიური მომგებიანობა



შერჩეული ქვედარგი	ქვედარგის წლიური მომგებიანობა (ბრუნვასთან მიმართებით, %)
სოფლად ტურიზმი	27
სტუმართმასპინძლობა	24
ღვინის ტურიზმი	30

ცხრილი 22. ქვედარგში ახალი საწარმოს (მსხვილი, საშუალო და მცირე) შექმნისათვის აუცილებელი ინვესტიციის საშუალო მოცულობა


შერჩეული ქვედარგი	ინვესტიციის აუცილებელი მოცულობა (ათასი. ლარი)		
	მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლად ტურიზმი	100-მდე	100-200	200-300
სტუმართმასპინძლობა	50	200	1000
ღვინის ტურიზმი	50	70-100	1000-5000

ცხრილი 23. ინვესტიციის უკუგების საშუალო პერიოდი სხვადასხვა ზომის საწარმოებისათვის ცალ-ცალკე

შერჩეული ქვედარგი	ინვესტიციის უკუგების საშუალო პერიოდი (წელი)		
	მცირე	საშუალო	მსხვილი
სოფლად ტურიზმი	2	3	5
სტუმართმასპინძლობა	2	3	5.5
ღვინის ტურიზმი	3	5	10



დიაგრამა 29. "ღვინის ტურიზმის" ქვედარგში წარმოებული პროდუქციის/მომსახურების სტრუქტურა, %




დარგის SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდებარეობა; • კეთილსასურველი ბუნებრივ-კლიმატური პირობები; • მრავალფეროვანი ისტორიული ძეგლების არსებობა და კულტურული მემკვიდრეობა; • გამორჩეული იმერული სამზარეულო; • ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო პროდუქტი; • არქეოლოგიური ძეგლები, არქიტექტურული ნაგებობანი, კარსტული მღვიმეები, კანიონები, ხეობები; • განვითარებული საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელი; • საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის გამოცდილება; • ვენახის კულტურა, მარნის ტრადიცია, ღვინის დაწურვის ტრადიცია; • ქუთაისში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არსებობა დამოუკიდებელი კაპიტალური შენობითა და ინფრასტრუქტურით. • განვითარებადი სატრანსპორტო კომუნიკაცია (საავტომობილო გზები, რკინიგზა, საჰაერო ტრანსპორტი); 	<ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობაში რეგიონის ტურისტული პოტენციალის დაბალი ცნობიერება; • ტურისტული ზონების ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა; • უცხოელი ტურისტების მოზიდვისათვის ჩატარებული არასაკმარისი აქტივობები; • ტურიზმის თანამედროვე მოთხოვნებისათვის შეუსაბამო ტექნიკური ინფრასტრუქტურა; • ადგილობრივი ტურისტული პროდუქტის დაბალი კონკურენტუნარიანობა; • ენობრივი ბარიერი; • მომსახურების დაბალი დონე; • ტურიზმის განვითარების სტრატეგიის არარსებობა; • შემოსულ ვიზიტორთა და ტურისტთა აღურიცხაობა; • რეგიონში ტურისტებიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკის არარსებობა; • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სერვისის უქონლობა; • პროფესიული გიდების ნაკლებობა კულტურული ტურებისთვის;
O - შესაძლებლობები	T - საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ქალაქის პრობლემების მოგვარებაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ჩართულობის ზრდა; 	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის დარგში კომუნიკაციის და ინფორმაციის არაეფექტიანი სისტემა;

<ul style="list-style-type: none"> • ტრანზიტული ტურიზმის და სპეციალიზებული ტურიზმის ბაზრის განვითარების შესაძლებლობა; • დამეგობრებულ რეგიონებთან და ქალაქებთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა ტურიზმის დარგში; • საერთაშორისო ფრენების არეალის გაფართოება აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტიდან; • საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ დონესთან მაქსიმალური მიახლოების ტენდენცია; • ინვესტიციების მოზიდვა ტურობიექტების აღდგენა-განახლებისათვის; • პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება; • ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოებისა და გაყიდვების ქსელის განვითარება; • კულინარიული მასტერკლასების ჩატარება; • ზოგიერთ ქვედარგში მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა. 	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივ ტურისტულ პროდუქტთან საზღვარგარეთული ტურების კონკურენცია; • სატრანპორტო სისტემის ფუნქციონირების კონტროლის თანამდროვე ტექნოლოგიების არარსებობა; • მდინარეების წყლის ქიმიური შემადგენლობის არასრულყოფილი მონიტორინგი; • ბუნებრივი კატასტროფები; • არასაკმარისი ინვესტიციები ტურობიექტების აღსადგენად; • სუსტი მენეჯმენტი; • არაკეთილსინდისიერი მიმწოდებლების არსებობა ბაზარზე, რომლებიც ორიენტაციას აკეთებენ მასობრივ ღვინის ტურებზე და ტურისტებს ფალსიფიცირებულ ღვინოს სთავაზობენ.
--	---

3.5. განათლება

2016 წელს, იმერეთის განათლების კერძო სექტორში 9,7 მილიონი ლარის დამატებული ღირებულება შეიქმნა, რამაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს შექმნილი დამატებული ღირებულების 1,3% შეადგინა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდამ 7% შეადგინა.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის განათლების კერძო სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 11.5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორში 2016 წელს გამოშვებული პროდუქციის 0.7%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, გამოშვებული პროდუქციის კლებამ 2.5% შეადგინა.

2016 წელს, იმერეთის განათლების კერძო სექტორის ბრუნვამ 11.5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც იმერეთის კერძო სექტორის 2016 წლის ბრუნვის 0.4%-ია. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ბრუნვის კლებამ 2.5% შეადგინა.

2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, იმერეთის განათლების სექტორი როგორც შექმნილი დამატებული ღირებულებით და ბრუნვით, ასევე, პროდუქციის გამოშვებით მხოლოდ თბილისს და აჭარის რეგიონს ჩამორჩება.

2016 წელს, იმერეთის განათლების კერძო სექტორში ინვესტიციები არ განხორციელებულა³¹. 2015 წელს აღნიშნულ სექტორში 0.1 მლნ. ლარის ინვესტიციები განხორციელდა.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის განათლების კერძო სექტორში 1820 ადამიანი იყო დასაქმებული, აღნიშნული იმერეთის კერძო სექტორში დასაქმებულთა 3.7%-ს შეადგენდა. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, აღნიშნულ სექტორში დასაქმება

³¹ ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, რაც გულისხმობს საწარმოში საკუთარი ან სხვა სუბიექტებიდან მოზიდულ სახსრებს ან ქონებას. მოიცავს როგორც პირდაპირ უცხოურ ასევე შიდა ინვესტიციას.

მხოლოდ 0.7%-ით გაიზარდა, განათლების კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობით იმერეთი მხოლოდ თბილისს და აჭარას ჩამორჩება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2016 წელს, იმერეთის განათლების კერძო სექტორში არსებული საშუალოთვიური ხელფასი 342 ლარს შეადგენდა, რაც 44.7%-ით ნაკლებია 2016 წელს საქართველოში აღნიშნულ სექტორში არსებულ საშუალოთვიურ ხელფასზე. 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, იმერეთში, აღნიშნულ სექტორში საშუალოთვიური ხელფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა - 43.7%-ით. 2016 წლის მონაცემებით, იმერეთში, განათლების კერძო სექტორში არსებული საშუალოთვიური ხელფასი მხოლოდ ქვემო ქართლის, აჭარის და თბილისის განათლების კერძო სექტორში არსებულ ხელფასს ჩამორჩება.

იმერეთის განათლების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. განათლების კერძო სექტორში იმერეთში 135 აქტიური საწარმო ფუნქციონირებს³², მათი გადანაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შემდეგნაირია:

ცხრილი 24. დარგის სტრუქტურა


საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 1)	საწარმოთა რაოდენობა
M	განათლება	135
80.1	დაწყებითი განათლება	52
80.2	საშუალო განათლება	39

³² წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს რეგისტრი, 2018 წლის ივლისის მონაცემები. აღებულია ის საწარმოები, რომელთა ფაქტობრივი მისამართია იმერეთი.

80.3	უმაღლესი განათლება	6
80.4	განათლება მოზრდილთათვის და განათლების დანარჩენი სახეობები	38

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი, საქმიანობებს NACE rev. 1 კლასიფიკატორის მიხედვით შეესაბამება ჯგუფი³³

იმერეთის განათლების სექტორში მოქმედი საწარმოების უმეტესობა მცირე ზომისაა. ძველი მეთოდოლოგიით აღნიშნულ სექტორში მხოლოდ სამი საწარმოა მსხვილი ზომის, ახალი მეთოდოლოგიით კი ერთი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ბიზნეს დემოგრაფიის მაჩვენებლები - საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება³⁴. იმერეთის განათლების კერძო სექტორში, 2012-2017 წლებში შექმნილი საწარმოთა რაოდენობა აღემატება ბაზრიდან გასულ საწარმოთა რაოდენობას³⁵. ჯამში 2012-2017 წლებში აღნიშნულ სექტორში, იმერეთში, 121 საწარმო შეიქმნა, რომელთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შემდეგნაირია: 25 ადრეული და სკოლამდელი განათლება, 3 დაწყებითი განათლება, 21 საშუალო განათლება, 2 საშუალოს შემდგომი განათლება, 70 სხვა განათლება.

2012-2017 წლებში, იმერეთში, აღნიშნულ სექტორი დატოვა 69 საწარმომ, ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით მათი განაწილება შემდეგნაირია: 10

³³ NACE rev. 2-ის მიხედვით განათლების შემთხვევაში განყოფილების მაგივრად აღებულია ჯგუფი, რადგან აღნიშნულ სექტორში სექცია და განყოფილება ერთი და იგივეა „განათლება“

³⁴ NACE 2-ის მიხედვით

³⁵ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბიზნეს სექტორი, საწარმოთა დემოგრაფიის მაჩვენებლები-დაბადება, გარდაცვალება 2012-2017 წლები

ადრეული და სკოლამდელი განათლება, 22 საშუალო განათლება, 9 საშუალოს შემდგომი განათლება, 28 სხვა განათლება.


ყველაზე მეტად საწარმოთა დაბადება 2015 წელს გაიზარდა - 114%-ით. 2017 წელს საწარმოთა დაბადების ზრდამ 33% შეადგინა.

ცხრილი 25. საწარმოთა დაბადება-გარდაცვალება იმერეთში განათლების სექტორის საქმიანობების სახეების მიხედვით 2012-2017 წლები

საქმიანობის კოდი	საქმიანობის დასახელება (NACE Rev. 2)	დემოგრაფიის მაჩვენებლები	2012	2013	2014	2015	2016	2017
P	განათლება	საწარმოთა დაბადება	35	14	14	30	12	16
		საწარმოთა გარდაცვალება	1	0	16	14	15	23
85.1	ადრეული და სკოლამდელი განათლება	საწარმოთა დაბადება	5	3	3	5	3	6
		საწარმოთა გარდაცვალება	0	0	2	1	3	4
85.2	დაწყებითი განათლება	საწარმოთა დაბადება	1	0	0	0	1	1
		საწარმოთა გარდაცვალება	0	0	0	0	0	0
85.3	საშუალო განათლება	საწარმოთა დაბადება	10	2	1	2	4	2
		საწარმოთა გარდაცვალება	0	0	9	5	2	6
85.4	საშუალოს შემდგომი განათლება	საწარმოთა დაბადება	1	0	0	0	1	0
		საწარმოთა გარდაცვალება	0	0	1	2	2	4
85.5	სხვა განათლება	საწარმოთა დაბადება	18	9	10	23	3	7
		საწარმოთა გარდაცვალება	1	0	4	6	8	9

ქუთაისის განათლების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოები. ქუთაისის განათლების კერძო სექტორში ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით 86 ორგანიზაცია ფუნქციონირებს, მათი გადანაწილება ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით შემდეგნაირია: 33 დაწყებითი განათლება, 22 საშუალო განათლება, 5 უმაღლესი განათლება, 26 განათლება მოზრდილთათვის და განათლების დანარჩენი სახეობები.

ქუთაისის განათლების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების რაოდენობა იმერეთის განათლების კერძო სექტორში მოქმედი საწარმოების 63.7%-ს შეადგენს. ქუთაისში აღნიშნულ სექტორში მოქმედი საწარმოების უმრავლესობა მცირე ზომისაა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2018 ივლისი

ქვედარგების ანალიზი

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის მიხედვით განათლების დარგი მოიცავს, განათლებას ნებისმიერ დონეზე ან ნებისმიერი პროფესიისათვის. სწავლება შეიძლება ხორციელდებოდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტის ან მიმოწერის საშუალებით. ის ასევე შეიცავს განათლებას, რომელიც მიეწოდება სხვადასხვა დაწესებულებების მიერ სხვადასხვა დონის რეგულარული საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში, აგრეთვე განათლებას ზრდასრულთათვის, წერა-კითხვის სწავლების პროგრამებს. აქ აგრეთვე შედის სამხედრო სკოლები და აკადემიები, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული სკოლები და ა.შ.

განათლების სფეროში გამოიყოფა სამი ძირითადი მიმართულება:

ადრეული და სკოლამდელი განათლება - განისაზღვრება როგორც ორგანიზებული სწავლების საწყისი ეტაპი, რომელიც უპირატესად გამიზნულია არასასკოლო ასაკის საბაზისო ცხოვრებისეული უნარჩვევების გამომუშავებისა და ბავშვების სასკოლო მზაობისათვის;

დაწყებითი განათლება - შეიცავს ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურს: აკადემიური საგნების სწავლებას, რაც აძლევს მოსწავლეებს საფუძვლიან საბაზისო უნარებს კითხვაში, წერასა და მათემატიკაში და ზოგად ცოდნას ისეთ საგნებში, როგორცაა საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, უცხოური ენები, ხელოვნება და მუსიკა.

საშუალო განათლება - შეიცავს ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურებს, ასევე პროფესიულ განათლებას.

საშუალოს შემდგომი განათლება - შეიცავს საშუალოს შემდგომი უმაღლესი განათლების მიწოდებას და აკადემიურ სწავლებას ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხების მინიჭებით.

სხვა განათლება - შეიცავს უწყვეტ განათლებას და სწავლებას ნებისმიერი პროფესიის, ჰობის ან თვითგანვითარების მიზნებისათვის.

დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობები - შეიცავს საგანმანათლებლო პროცესების ან სისტემების დამხმარე არასასწავლო საქმიანობის განხორციელებას.

აღნიშნული კლასიფიკაცია ძირითად ნაწილში ემთხვევა ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო სისტემას, სადაც სწავლება შემდეგ ძირითად საფეხურებად შეგვიძლია დავყოთ:

- სკოლამდელი განათლება - საბავშვო ბაღები;
- სასკოლო განათლება - სკოლები;
- უმაღლესი განათლება - უმაღლესი სასწავლებლები;
- პროფესიული განათლება - პროფესიული სასწავლებლები.

როგორც ავღნიშნეთ განათლების სისტემის ნებისმიერ საფეხურზე სერვისის მიმწოდებელი შესაძლებელია იყოს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სუბიექტი. რა თქმა უნდა ორივე მათგანმა უნდა დაიცვას განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული წესები და რეგულაციები.

ქუთაისის და მისი შემოგარენის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი როლი ქუთაისს უკავია და ის მომსახურებას სთავაზობს მთელი რეგიონის მოსახლეობას.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე პასუხისმგებელი ადგილობრივი ხელისუფლებაა. ბოლო 2 წელია აღნიშნულ პროცესში რეგულაციების დაწესების ინიციატივით ჩაერთო განათლების სამინისტრო და ეტაპობრივად ხდება ეროვნული რეგულაციების შემოღება. მანამდე კი ეს სფერო პრაქტიკულად

რეგულირების გარეშე ფუნქციონირებდა და მიწოდებული სერვისის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თვითმმართველობების მიხედვით.

ქუთაისში გვხვდება როგორც საჯარო ასევე კერძო ბალები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების უმეტეს ნაწილს საჯარო ბალები ემსახურებიან. აღნიშნული გამომდინარეობს იმ რეგულაციით, რომ საჯარო ბალები ყველა ბავშვისთვის უფასოა და მათ ბიუჯეტი აფინანსებს. კერძო ბალებში კი მშობლებს უწევთ თანხების გადახდა და ადგილობრივი ხელისუფლება აღნიშნულს არ აფინანსებს.

აღნიშნული სფერო რა თქმა უნდა დამოკიდებულია ქალაქის და მისი შემოგარენის დემოგრაფიული მდგომარეობის განვითარებაზე.

სასკოლო განათლება სრულად რეგულირდება განათლების სამინისტროს მიერ და დაფინანსება ძირითადად ვაუჩერული პრინციპით ხორციელდება, რაც ნიშნავს სკოლის მოსწავლის დაფინანსებას.

ქუთაისში გვხვდება როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლები, თუმცა საჯარო სკოლების ბავშვთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება კერძო სკოლებში ბავშვთა რაოდენობას. ბალებთან შედარებით კერძო სკოლები უფრო მეტად ვითარდებიან, რადგან სახელმწიფოდან მოსწავლისთვის ვაუჩერის სახით გამოყოფილი თანხა კერძო სკოლებსაც ერიცხებათ. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სკოლებში სწავლება უფასოა ბოლო წლებში კერძო სკოლები მოძლიერდნენ, რისი მიზეზიც მათ მიერ შედარებით უკეთესი სერვისი შეთავაზებაა. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის კურსდამთავრებულების საატესტატო გამოცდებში (საბოლოო გამოცდები; მედლები) კერძო სკოლის კურსდამთავრებულების წილი უმნიშვნელო არ არის.

აღნიშნული სფერო რა თქმა უნდა ასევე დამოკიდებულია ქალაქის და მისი შემოგარენის დემოგრაფიული მდგომარეობის განვითარებაზე.

დღეს მოქმედ კერძო სკოლებს კიდევ მეტად შეუძლიათ გაზარდონ მოსწავლეების რაოდენობა, რაც საჯარო სკოლების ხარჯზე შეიძლება მოხდეს. აღნიშნული ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ერთ-ერთი მთავარი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაა.

ქუთაისი ისტორიულად წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საგანმანათლებლო კერას, რომელიც არამხოლოდ იმერეთის რეგიონს ემსახურება. აქ მოქმედებს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტებში სტუდენტების დაახლოებით ნახევარი არის ქუთაისის მცხოვრები, ხოლო მეორე ნაწილი სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან არიან

ჩამოსული სასწავლებლად. აღნიშნულს გააჩნია დამატებითი ეკონომიკური ეფექტი ქალაქისთვის.

საჯარო და კერძო უნივერსიტეტების დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სტუდენტის ვაუჩერი, თუმცა სახელმწიფო უნივერსიტეტები დამატებით იღებენ თანხებს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია ქუთაისში საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობის საკითხი, რომელიც აბსოლიტურად ახალ რეალობას სთავაზობს ქუთაისს და მის შემოგარენს. აღნიშნული პროექტის დამფინანსებელი კერძო ფონდია, რომელიც ჯამში ნახევარ მილიარდ ევროზე მეტს დახარჯავს.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვნად განავითარებს როგორც სხვა სასწავლო დაწესებულებებს ასევე ეკონომიკის სხვადასხვა დარგს. იგი ამ ეტაპზე არ განიხილება როგორც ბიზნეს პროექტი. ის გრძელვადიანი საინვესტიციო პროექტია, რომელიც მთლიანად ქვეყანას განავითარებს.

სახელმწიფო ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად პროფესიული სასწავლებლების განვითარებას მიიჩნევს, რადგან კვლევებმა აჩვენა, რომ ეკონომიკის დარგებისათვის საჭირო პროფესიული განათლების მქონე ადამიანების ნაკლებობას განიცდის სამუშაო ბაზარი. ამ მხრივ ქუთაისში მოქმედებს რამოდენიმე პროფესიული სასწავლებელი, თუმცა მნიშვნელოვანია მათი ფუნქციონირების გაფართოვება და დაგეგმვასა და მართვაში ბიზნესის აქტიური ჩართულობა.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ განათლების კომპონენტი ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანია და იგი მთლიან რეგიონს ემსახურება, თუმცა როგორც ბიზნესი ის ნაკლებადაა განვითარებული. არსებობს პოტენციალი კერძო სკოლების და უნივერსიტეტების განვითარების, თუმცა ის ქალაქისთვის როგორც ბიზნეს-საქმიანობა წამყვანი ვერ იქნება. განათლების კომპონენტი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას, რაც თავის მხრივ ხელისშემწყობია ეკონომიკისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლებლების განვითარება, რათა მოხდეს კონკურენტუნარიანი ეკონომიკური სფეროების სათანადო კადრებით უზრუნველყოფა (მაგ: ტურიზმში, სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურებაში ძალიან დიდი დეფიციტია კვალიფიციური პერსონალის).

საუნივერსიტეტო ქალაქის მშენებლობა კი აბსოლიტურად ახალ რეალობას თავაზობს ქუთაისს და ის პირველ ეტაპზე საქველმომედო ხასიათს ატარებს, რომლის განხორციელების პარალელურად განვითარდება ბევრი სახის მომსახურების ბიზნესი.

დარგის SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • განათლების ყველა საფეხურის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების არსებობა; • გამოცდილი და კვალიფიციური პედაგოგების და სამეცნიერო პერსონალის არსებობა; • მდიდარი სასწავლო-სამეცნიერო ტრადიციები; • ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა • გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო კომუნიკაციების (სავტომობილო გზები, რკინიგზა, აეროპორტი) არსებობა; • საცხოვრებელი ფონდის არსებობა ქალაქში; • კრიმინალური შემთხვევების დაბალი დონე; • საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის არსებობა. 	<ul style="list-style-type: none"> • შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების თანამედროვე სისტემის არარსებობა; • პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობა; • კვალიფიკაციური შრომითი რესურსების გადინება; • უმუშევრობის მაღალი დონე; • სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წილი.
O - შესაძლებლობები	T - საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • საუნივერსიტეტო ქალაქის ჩამოყალიბების პერსპექტივა; • უმაღლესი განათლების საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების პერსპექტივა; • უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე ახალი მიმართულებების, მათ შორის ტექნიკური განათლების განვითარების შესაძლებლობა; • საგანმანათლებლო, სახელოვნებო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების გაძლიერება; 	<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო სექტორიდან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების შემდგომი გადინება; • კონკურენციის ზრდა სხვა ქალაქებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან; • პერსპექტიული ახალგაზრდების გადინება ქალაქიდან.

IV. დასკვნა და ძირითადი რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ჩამოგვეყალიბებინა საყურადღებო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება შესაბამისი ადრესატების - ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანების მიერ, ვფიქრობთ ხელს შეუწყობს საკვლევი რეგიონისათვის პერსპექტიული/კონკურენტუნარიანი დარგებისა და ქვედარგების განვითარებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი დადებითი გავლენის მქონე იქნება რეგიონში დასაქმების და შესაბამისად ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოკვეთილი კონკურენტული/პერსპექტიული დარგები გარკვეულწილად თანაკვეთაშია იმერეთის რეგიონისა და ქალაქ ქუთაისის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან, თუმცა წინამდებარე კვლევის სიახლე არის ის, რომ მის ფარგლებში გაანალიზებული იქნა ამა თუ იმ დარგის შიგნით არსებული ქვედარგები, რაც როგორც აღმოჩნდა კრიტიკული მნიშვნელობის არის, ვინაიდან ერთდამავე დარგის შიგნით ხშირად ერთდროულად გვაქვს ძალიან წარმატებული და/ან პერსპექტიული ქვედარგი და სრულიად უპერსპექტივო და განუვითარებელი ქვედარგი, რომლის შემდგომი მხარდაჭერა დიდი ალბათობით ასევე არ იქნება შედეგის მომცემი. გამომდინარე აქედან, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ხელისუფლების მასტიმულირებელი პოლიტიკა კონცენტრირებული და ფოკუსირებული იქნება არა ზოგადად დარგის, არამედ კონკრეტული ქვედარგის მხარდაჭერაზე, მიღებული შედეგი იქნება გაცილებით შესამჩნევი.

გამომდინარე აქედან, კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, მიუხედავად იმისა, რომ დაჯგუფებულია დარგების/სექტორების მიხედვით, ძირითადად ორიენტირებულია კონკრეტულ ქვედარგებზე/ქვესექტორებზე, კერძოდ:

სასტუმროები და რესტორნები:

- ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და ტურისტთა/ვიზიტორთა რაოდენობების პოტენციალის გათვალისწინებით, ქ.ქუთაისში, სავარაუდოდ მის ცენტრალურ ნაწილში, ეკონომიკურად გამართლებულია მაღალი კლასის (ოთხი და მეტი ვარსკვლავი) სასტუმროების მშენებლობა. აღნიშნულით, გარდა ტურიზმის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, შესაძლებელი გახდება ქუთაისი წარმოჩინდეს, როგორც საერთაშორისო მაღალი რანგის ღონისძიებების მასპინძელ ქალაქად,

რომელიც შეძლებს ამ მიმართულების საჭიროებების სრული სპექტრის დაკმაყოფილებას;

- ქალაქის ურბანული განვითარებისა და ტერიტორიული ზრდის შესაძლებლობის გამოყენება. მხოლოდ ქალაქის ცენტრალური ნაწილის არსებობა საკვანძო ტურისტულ წერტილად და ეკონომიკურად აქტიურ ნიშნულად არ იქნება საკმარისი რეგიონის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის. ქუთაისის ფუნქციური მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მიზნით საჭირო და აუცილებელია ქალაქის ადმინისტრაციული საზღვრების გაზრდა (ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მიმართულებით);
- სახელმწიფო მხარდამჭერი პროგრამების მეტი მოწყვლადობა, ბიზნესების განვითარებისა და საჭირო ფინანსური რესურსების უზრუნველყოფისათვის, ვინაიდან სასტუმროების მიმართულებით აშკარად შეინიშნება ინვესტიციების ნაკლებობა მსხვილი ობიექტების შესაქმნელად.

ვაჭრობა:

- ვაჭრობის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილია გამოიყოს სივრცე, სადაც განთავსდება ახალი, თანამედროვე სავაჭრო ცენტრები;
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სავაჭრო ცენტრებისათვის გამოყოფილ არეალში საჯარო ინფრასტრუქტურის (გზების, განათების, კომუნალური სისტემების და ა.შ.) მშენებლობა-მოწყობა, საზოგადოებრივი სატრანსპორტო ნაკადების ხელმისაწვდომობა და აწარმოოს მოლაპარაკებები ბიზნეს სტრუქტურებთან ინვესტიციების განხორციელების შესახებ;
- გამოიყოს სივრცეები ავტოტექნომსახურების ცენტრების შექმნისათვის, მოეწყოს მასზე საჯარო ინფრასტრუქტურა, რათა სტიმული მიეცეთ აღნიშნული სერვისის მიწოდებით დაკავებულ კომპანიებსა და კერძო პირებს კომპაქტურად განთავსდნენ ერთიან სივრცეში, რაც ამავდროულად მომხმარებლებს საშუალებას მისცემს მათთვის მოსახერხებელი ფორმით მიიღონ ყველა საჭირო მომსახურება, ხოლო ქალაქის იერსახე არ დამახინჯდეს ცენტრალური ქუჩების გასწვრივ განთავსებული სარემონტო ბოქსებით.

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

- ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ თანამედროვე ლოჯისტიკური კომპლექსის შექმნა, რომელიც იქნება უზრუნველყოფილი როგორც საჰაერო, ასევე სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით, ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით, როგორც მგზავრთა ასევე ტვირთების ტრანსპორტირებისათვის;
- შიდასაქალაქო ტრანსპორტის სისტემის სრული განახლება, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების, დამხმარე ინფრასტრუქტურის (გაჩერებები, ტაბლოები, მოძრაობის სქემის და ა.შ.);

- საქალაქთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების ეფექტიანი სისტემის შექმნა-ამოქმედება და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და ახალი, მათ შორის ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის გაგრძელება (მ.შ. ქუთაისი - მესტია, ქუთაისი - სამხრეთ საქართველო და ა.შ.);
- სამგზავრო გადაზიდვებისათვის სარკინიგზო ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით ქუთაისისათვის.

ტურიზმი

- ტურისტული ინფრასტრუქტურის (ტურისტულ ობიექტებამდე მისასვლელი გზების, ბილიკების, ფირნიშების, მანიშნებლების, საინფორმაციო სერვისების) შექმნა-მოწესრიგება;
- ახალი ტურისტული ატრაქციების შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია;
- ისეთი ბიზნესების სტიმულირება, რომლებიც რომელიც ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფს თავისუფალი დროის გატარებისა და დასვენების მიმზიდველ და მრავალფეროვან საშუალებებს;
- მიზნობრივ ბაზრებზე რეგიონის ბრენდირება და მისი ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია.

განათლება:

- უცხო ენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
- რეგიონისათვის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო და სტუდენტური კვლევების სტიმულირება;
- თანამედროვე სტანდარტების ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა;
- პროფესიული სასწავლებლების განვითარება და მათი მსმენელების გაზრდის სტიმულირება;
- უცხო ენების სწავლებისა და ბიზნეს განათლების მიღების წახალისება ახალგაზრდებში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. დევიძე ე., კულტურული მემკვიდრეობა და იმერეთის ტურიზმის განვითარების პრობლემები. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თსუ, 2012.
2. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008.
3. იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. მარკეტინგული გეგმა - საბოლოო ანგარიში. ბარსელონა / თბილისი, 2012 წლის ივლისი. Innovative Tourism Advisors. –118 გვ.
4. ღვთაძე გ., ჩიხლაძე ნ. იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები. ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
5. ჩიხლაძე ნ., ვალიშვილი თ., გაბელაშვილი კ. ქალაქის ბრენდინგის აქტუალური საკითხები - ქუთაისური წახნაგები. აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014.
6. ჭარხალაშვილი კ., გულუა გ. ქუთაისში ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის. ქუთაისი, 2010;
7. ქუთაისის უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი „მიმზიდველობიდან ტურისტული შეთავაზებების კონკრეტულ ინტეგრირებულ პაკეტებამდე: ტურიზმის მარკეტინგული გეგმა თვითმმართველი ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენისთვის“. 2016
8. Chikhladze N., Valishvili T. ON THE ISSUE OF TOURISM POTENTIAL OF KUTAISI AND ITS SURROUNDING AREA. Ovidius University Annals, Series Economic Sciences . 2015, Vol. 15 Issue 1, p474-478. 5p. <http://stec.univ-ovidius.ro/html/anale/RO/2015/ANALE%20vol%2015%20issue%201%20site.pdf>
9. Chikhladze N., Gvartadze G., FACTORS CAUSING THE DEVELOPMENT OF TOURISM IN IMERETI REGION. 5 – 6 June 2010, Batumi / Trabzon. 1st ISPC “Tourism: Economics and Business”.
10. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 <http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pdf>
11. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021 http://mrdi.gov.ge/sites/default/files/2018-2021_clebis_sakartvelos_regionuli_ganvitarebis_programa_0.pdf
12. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა http://mrdi.gov.ge/sites/default/files/01_2.pdf
13. „იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021“ http://mrdi.gov.ge/sites/default/files/imeretis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf
14. ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3384714>

15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი:
www.geostat.ge
16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდი:
www.kutaisi.gov.ge
17. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი: www.imereti.gov.ge
18. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.economy.gov.ge>
19. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი:
<https://gnta.ge/>
20. ქუთაისის უნივერსიტეტის შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი „მიმზიდველობიდან ტურისტული შეთავაზებების კონკრეტულ ინტეგრირებულ პაკეტებამდე: ტურიზმის მარკეტინგული გეგმა თვითმმართველი ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენისთვის“ (განხორციელების პერიოდი 1.12.2014 – 1.10.2015). ქუთაისი, 2016.
<https://drive.google.com/file/d/1igUbKjSav8H9V9O4NsFhJfEqBzIKKI2S/view>

დანართი1.

კვლევის განმახორციელებელი მხარეები

კვლევითი პროექტის განმახორციელებელი ლიდერი ორგანიზაცია არის შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ - ავტორიზებული კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პარტნიორი ორგანიზაციები:

- შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“ - ავტორიზებული კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- ააიპ „პი ემ სი კვლევითი ცენტრი“.

აღნიშნული ორგანიზაციების მხრიდან კვლევაში ჩართული იყვნენ:

- დავით თვალთვაძე - პროექტის დირექტორი, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი;
- პანტელეიმონ (პაატა) კლდიაშვილი - პროექტის კოორდინატორი, მკვლევარი, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ასოც. პროფესორი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- ნიკოლოზ ჩიხლაძე - უფროსი მკვლევარი, შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ პროფესორი, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი;
- კონსტანტინე ქავთარაძე - უმცროსი მკვლევარი. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ დოქტორანტი, ამავე უნივერსიტეტის უწყვეტი სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი;
- შოთა მურდულია - მკვლევარი, პროექტის კოორდინატორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში. აღნიშნული უნივერსიტეტის ქართულ-გერმანულენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი;
- მურთაზ კვიციანი - უფროსი მკვლევარი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი;
- ვასილ კიკუტაძე - უმცროსი მკვლევარი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის სამსახურის უფროსი;
- გიორგი ხიშტოვანი - უფროსი მკვლევარი, პროგრამის კოორდინატორი ააიპ „პი ემ სი კვლევით ცენტრში“, ააიპ „პი ემ სი კვლევითი ცენტრის“ კვლევითი დირექტორი, ილიაუნის ბიზნესის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ექსპერტი;
- სოფიო ბასილიძე - უმცროსი მკვლევარი, ააიპ „პი ემ სი კვლევითი ცენტრის“ უმცროსი მკვლევარი.